


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1979 ორშაბათი 1 იანვარი № 1 (17346)

ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხს

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ისტორიას ბარდება 1978 წელი. საბჭოთა ადამიანები მას აცილებენ კანონიერი სიამაყის გრძნობით. ეს იყო პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ნაყოფიერი შრომის წელი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მოქმედების პირველი წელი.

ჩვენმა ხალხმა ახალ წარმატებებს მიაღწია კომუნისტურ მშენებლობაში. ამის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა ჩვენი დიადი სამშობლოს მატერიალური და სულიერი ძლიერება, მისი საერთაშორისო ავტორიტეტი. განუხრელად მაღლდება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი, იზრდება სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, ამოქმედდა ასობით დიდი საწარმო და ობიექტი. აღებულია მარცვლეულის რეკორდული მოსავალი — 235 მილიონი ტონა. დიდ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა მეცნიერებამ. სამყაროს დაპყრობის მატიანეში სამუდამოდ შევიდა უდიდესი კოსმოსური ფრენები, რომლებშიც მონაწილეობდა სოციალისტური ქვეყნების სამი საერთაშორისო ეკიპაჟი. ახალი შთამბეჭდავი ნაწარმოებები შექმნეს მრავალეროვნული საბჭოთა კულტურის ოსტატებმა.

წარმატებით ხორციელდება პარტიის მიერ დასახული გეგმები საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის. აშენდა 2 მილიონზე მეტი კეთილმოწყობილი ბინა, ბევრი სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, საავადმყოფო, კულტურის დაწესებულება. ამრიგად, ჩვენი სახალხო მეურნეობის მიღწევები ხორცს ისხამს თითოეული ოჯახის, ყოველი საბჭოთა მოქალაქის საგრძნობი სასიხარულო ცვლილებებით.

ყველა თავის წარმატებას საბჭოთა ადამიანები უკავშირებენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირის ძლიერებას, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას, რომელიც დღენიადაგ მტკიცდება, კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ბრძნულ ხელმძღვანელობას. პარტია თავის მრავალმხრივ საქმიანობაში ეყრდნობა საბჭოთა ხალხის განუხრელ მხარდაჭერას. პარტია ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე მოძღვრებით, შემოქმედებითად ავითარებს მას და მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

საბჭოთა ხალხი რწმენით აღსავსე ეგებება ახალ, 1979 წელს. მას შთააგონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებები, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია პარტიისა და ხალხის საქმიანობის საბრძოლო პროგრამა ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ მშენებლობაში ახალი მიჯნების მიღწევისათვის.

მშრომელები თავდადებით იბრძვიან პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, კიდევ უფრო მაღლა სწევენ მეათე ხუთწლედის გეგმის წარმატებით და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების დროშას. სახელი და დიდება თქვენ, ძვირფასო თანამემამულენო, ჩვენი დიადი სამშობლოს კეთილდღეობისათვის მამაცური შრომისათვის!

1979 წლის მარტში გაიმართება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. დაე იგი იქცეს მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო საბჭოთა ადამიანების მჭიდრო შეკავშირების ახალ ნათელ დემონსტრაციად, სოციალისტური დემოკრატიის ზეიმად.

ძვირფასო ამხანაგებო! 1978 წელი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის წელი, რომელიც მიზნად ისახავდა დაძაბულობის შენელების შემდგომ განვითარებას, გამალებული შეიარაღების ალაგმვას, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას. საბჭოთა კავშირის, მოძმე სოციალისტური ქვეყნების, პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მეცადინეობით, დაძაბულობის შენელების მტრების წინააღმდეგობის მიუხედავად, შესაძლებელი გახდა დედამიწაზე მშვიდობა უფრო საიმედო გამხდარიყო.

ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო მდგომარეობა ისე მტკიცეა, როგორც არასოდეს. ჩვენ მომავალშიც მტკიცედ ვიბრძოლებთ იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ და ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, განვამტკიცოთ სოციალიზმის ქვეყნების თანამეგობრობა, განვამტკიცოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში. სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის დეკლარაცია საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ ჰორიზონტებს სახავს და ხალხები აქტიურად უჭერენ მხარს მათ.

საბჭოთა ადამიანები გულითადად ულოცავენ ახალ წელს სოციალისტური ქვეყნების მშრომელებს, იმპერიალიზმის, რასიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლ ყველა კომუნისტსა და დემოკრატს, მხურვალედ ულოცავენ ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხალხებს, რომლებიც აშენებენ ახალ ცხოვრებას, კეთილი ნების ყველა ადამიანს, ვინც იბრძვის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის. ვუსურვებთ მათ ახალ წარმატებებს სამართლიან ბრძოლაში!

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად გილოცავენ ახალ წელს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ქალებს, ახალგაზრდობას, რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებს, ჩვენს მამაც მეომრებს, რომლებიც ფხიზლად იცავენ ჩვენი სამშობლოს წმიდათაწმიდა საზღვრებს. მხურვალედ ვულოცავთ, იმათ, ვინც ახლა შრომითსა და საბრძოლო პოსტზეა, ვინც გზაშია, ზღვასა თუ ცაში, ვინც მშობლიური მიწა-წყლიდან შორს მუშაობს!

ბედნიერებასა და სიხარულს გისურვებთ, თქვენ, თქვენს ოჯახებს, ძვირფასო ამხანაგებო!

ჯანმრთელობასა და ახალ წარმატებებს გისურვებთ შრომაში, სწავლასა და შემოქმედებაში!

დაე მუდამ მშვიდობა იყოს ქვეყნად!

გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ ბედნიერებას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო




თ. სამსონაძისა და ხ. ცინცაძის პლაკატი.




სურათზე: ენგურჰესის მესამე აგრეგატის გაშვებისა და ხუდონჰესის მშენებლობის დაწყებისადმი მიძღვნილი მიტინგი.

ი. პოხონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მადლობა შენ, 1978 წელო!

## ენგურჰესიდან ხუდონჰესამდე

30 დეკემბერს სამრეწველო დენი გამოუშვა ენგურჰესის მესამე აგრეგატმა. ამავე დღეს მდინარე ენგურის დინების აყოლებით, პატარა სოფელ ხუდონის მახლობლად, დაიწყო ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. მომავალი ჰესის კვეთს ამკობს მემორიალური დაფა, რომელზეც წარწერილია: „აქ აშენდება ხუდონის ჰიდროელექტროსადგური. 1978 წლის 30/12".

... სულ ცოტა ხნის წინათ, დიდი ოქტომბრის 61-ე წლისთავის წინ, ამიერკავკასიის უდიდესი ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა და მემონტაჟეთა მრავალათასიანმა ინტერნაციონალურმა არმიამ სამშობლოს უპატაკა: არის პირველი აგრეგატი! წლის ბოლომდე იქნება კიდევ ორი აგრეგატი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა წარმატება მიულოცა ენგურჰესის მშენებლობის ყველა მონაწილეს და გამოთქვა რწმენა, რომ ენგურჰესმშენის კოლექტივი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებასთან ერთად მთელ ძალ-ღონესა და ცოდნას მოახმარს იმას, რომ მიმდინარე წელს ამუშავდეს კიდევ ორი ჰიდროელექტროაგრეგატი, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ენგურჰესის მშენებლობა და ამუშავდეს იგი სრული — 1300 ათასი კილოვატი სიმძლავრით.

(დასასრული მე-2 გვ.).

ირაკლი აბაშიძე

## დღეს და მრავალ წელს!

დღეს და მრავალ წელს, დღეს და მრავალ წელს,
როცა ახალწლის დილა დგებოდეს —
მხოლოდ დიდება შენს გზა-სავალზე,
მხოლოდ დიდება დაგბედებოდეს!

დღეს და ყოველთვის, როცა ახალწლის
დილის მზის სხივი შენს მთებს წვდებოდეს —
ასი ათასი, ასი ათასი
მხოლოდ მშვიდობა დაგბედებოდეს!

დღეს და ყოველ წელს, დღეს და ყოველ წელს
არ გაკლდებოდეს, არ ბერდებოდე, —
უხვად მოგეცეს, უხვად მოგეცეს,
მზე და ბარაქა დაგბედებოდეს!

დღეს და მრავალ წელს, დღეს და მრავალ წელს
პურმა გაპუროს, რთველმა გართველოს...
მხოლოდ სიმაღლე და სილამაზე,
მხოლოდ სიცოცხლე ჩვენს საქართველოს!

კვლავაც ძლიერი, კვლავაც მაგარი,
როგორც ფოლადი, როგორც გრანიტი;
ბევრი სახლ-კარი, ბევრი აკვანი,
ბევრი ლხინი და თვალ-მარგალიტი!



# მარად ცოცხლობდე და დღეგრძელობდე შენ, ბელორუსიავ!

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

### ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1978 წლის 28 დეკემბერს

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ ფეხი შემოვდგით სადღესასწაულო ბელარუსში, როგორც მშობლიურ სახლში, სწორედ მშობლიურ სახლში, სადაც ყველაფერი გულს ხვდება და გულსაც ალღვებს და მეხსიერებასაც. ვფიქრობ მემატიანენი ცდებიან, როცა წერენ, რომ კიევის რუსეთის — რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების ისტორიული აკვნის ლეგენდარულ წინაპარს კიის ორი ძმა ჰყავდა: ეს სწორი არ არის, რადგან ჩვენ რუსი, უკრაინელი ბელორუსი ხალხების ძმები ვართ და ყველანი დღეს აქ, ამ ზეიმზე ვესწრებით ჩვენი უფროსი და ძლიერი ძმის დიდი რუსი ხალხის მეთაურობით (ხანგრძლივი ტაში).

ყველაფერი, რასაც დღეს ვხედავთ ბელორუსიაში, ყველაფერი, რაც მოვისმინეთ ამხანაგ პ. მ. მაშეროვის ამაღელვებელ, ღრმაშინაარსიან საიუბილეო მოხსენებაში, მართლაც რომ სასწაულია და არ შეიძლება აღტაცებაში არ მოგვიყვანოს. ომის შედეგად ნაცარტუტად ქცეული რესპუბლიკა ფენიქსისებრ აღდგა, ახალ ბელორუსიად იქცა. ეს სასწაული მოახდინეს კომუნისტებმა, რესპუბლიკის კომპარტიამ. ეს მოახდინა მამაცმა, შრომისმოყვარე, გენიალურმა ბელორუსმა ხალხმა. ეს მოახდინეს ჩვენი პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ, ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა მეგობრობამ და ძმობამ.

ძმა ძმით ყოველთვის ამაყობს, მაგრამ ყველა ორმაგად ამაყობს გმირი ძმით. ბელორუსიის ქალაქების დედა, სახელოვანი დედაქალაქი მინსკი გმირი ქალაქია, ლეგენდარული ბრესტის ციხე-სიმაგრე გმირია. ბელორუსია გმირების მხარეა! თითქოს ბელორუსიის მიწა-წყალი იმისათვისაა შექმნილი, რომ თითოეული მისი შვილი გმირად დაიბადოს.

ბელორუსიის წმიდათაწმიდა მიწა-წყალზე ომის მრისხანე წლებში გმირობისათვის მოძმე რესპუბლიკების 1600-ზე მეტ წარმომადგენელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, მათ შორის ბევრია საბჭოთა საქართველოს შვილი.

გმადლობთ შენ, ბელარუსო, რომ უბრალო ქართველი ქალიშვილები და ჭაბუკები გმირებად აქციე! (ტაში). მათ შენს სიყვარულს სიყვარულით უპასუხეს. ბევრი მათგანი სამარადისოდ განისვენებს შენს კურთხეულ მიწაში. აქ დაიღუპა ქართველი პოეტი მირზა გელოვანი. რიგითმა გიორგი მაისურაძემ გომელის მიწაზე გაიმეორა მატროსოვის გმირობა. და ასეთები ათასობით არიან.

აქ, ამ დღესასწაულობას დღეს ესწრება საქართველოს დელეგაციის წევრი, ბელორუსიის ბრძოლების მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ქანთარია, რომელმაც თავის რუს ძმასთან მიხეილ ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგზე. (ხანგრძლივი ტაში).

თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ერთ-ერთ სტენდზე გამოსახული არიან ფრონტელი მეგობრები: ბელორუსიის კომპარტიისა და ყველა მშრომელის ნაცადი წინამძღოლი პ. მ. მაშეროვი და მისი ქართველი თანამებრძოლები, სახელგანთქმული პარტიზანები ი. შუბითიძე, ვ. თალაკვაძე, გ. ვახტანგაძე და ბევრი სხვა. ეს მარტო გმირების ბიოგრაფია როდია. ეს ჩვენი ხალხების ბიოგრაფიაა. (ხანგრძლივი ტაში).

ბევრმა ქართველმა, ისევე როგორც ყველა ერისა და ეროვნების მილიონობით საბჭოთა ადამიანმა, ომის წლებში ბელორუსიის მიწაზე დაკარგა თავისი ძმები. მაგრამ მათ აქ შეიძინეს მილიონობით ძმა, რადგან თითოეული ბელორუსი მათთვის ძმასავით ახლობელი გახდა.

დღეს ამ მაღალ ტრიბუნაზე ვდგავარ და მახსენდება, საქართველოში ბელორუსიის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ამხანაგ ივანე ევტეის ძე პოლიაკოვთან საუბარი.

— რამდენი ლამაზი მთა და მწვერვალი გაქვთ, — აღტაცებით შესძახა მან, — ჩვენთან კი მხოლოდ ველებია...

— აირჩიეთ რომელი მწვერვალიც გნებავთ, — და სულითა და გულით მივუძღვნით მას ჩვენს დას ბელორუსიას, ვუპასუხე მას.

შემდეგ კი ახალმა აზრმა გამიელვა (შეიძლება ოდნავ ანგარებიანმაც კი) — რატომ არ შეიძლებოდა რომელიმე მწვერვალი (ჩვენში კი მწვერვალები რამდენიც გნებავთ, იმდენია) გაგვეცვალა, მაგალითად, ბელორუსული სიუხვის მწვერვალებზე, თუნდაც ბარაქიანი ბელორუსული კარტოფილის სიუხვის მწვერვალზე, — გავეხუმრე მას. (სიცილი, ტაში).

ისე კი, სერიოზულად თუ ვიტყვით, ამხანაგებო, განა სჭირდება საჩუქრად ბელორუსიას მწვერვალები? ბელორუსულ ვაკეებზე ხომ ამდენი მწვერვალია. შრომითი მწვერვალების რა დიდებული პანორამა იშლება აქ თითოეული ადამიანის წინაშე! რა მწვერვალები შეედრება გმირული სულის ალმაფრენას მისი ხალხისა, რომელიც ისევე მშვენიერია, როგორც იანკა კუპალას პოეზია, და ისეთივე დიდებული, როგორც ბრესტის ციხე-სიმაგრე!

ჩვენი მთები თქვენი მთებია, ძვირფასო ბელორუსო ძმებო, თქვენი ველები ჩვენი ველებია. ჩვენ ყველაფერი საერთო გვაქვს (ტაში). ბელორუსია საბჭოთა საქართველოს აწვდის ხელსაწყოებს, მაცივრებს, ავტომობილებს, ტრაქტორებს, ქიმიურ ბოჭკოებს, პლასტმასებს, საშენ მასალებს, ხორცს, კარტოფილს, ყველაფერს, რითაც იგი მდიდარია, ხოლო საქართველო ბელორუს მეგობრებს უგზავნის შავ ლითონებს, ჩარხებს, ხელსაწყოებს, აბრეშუმსა და შალს, ჩაის, თამბაქოს მრეწველობის პროდუქციას, ღვინოს, კონიაკსა და სხვა მრავალს. (ტაში).

ამ პროდუქციის მთები, რომელშიც ჩაქსოვილია ჩვენი ხალხების შრომა, ყოველგვარ ყაზბეგსა და იალბუზზე მაღალია.

ჩვენს საზოგადოებაში ყველაფერი თანამიმდევრულად ვითარდება, ყველაფერი აღმავალი გზით მიდის. ეს დიალექტიკის კანონია.

კომუნისტთა პარტიის ყრილობები უდრეკი მთის ქედივით ადუღაბებს ჩვენს ეპოქას. ამ ქედის ერთ-ერთი მწვერვალი აღმართულია ბელორუსიის მიწა-წყალზე, მინსკის მიწა-წყალზე — თითოეული კომუნისტისათვის წმიდათაწმიდა მიწა-წყალზე! აქ, სახელოვან ქალაქ მინსკში, გაიმართა პირველი ყრილობა ჩვენი ლენინური პარტიისა, რომელიც კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ მიგვიძღვის.

მარად უკვდავია გმირობა შენი, ბელორუსიავ, უმაგალითოა წარმატებანი შენი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, ახალგაზრდობისა, რესპუბლიკის გმირი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ბელორუსიის სს რესპუბლიკისათვის ოქტომბრის რევოლუციის ორდენის, ხოლო რესპუბლიკის დედაქალაქისათვის — ლენინის ორდენისა და გმირი ქალაქის ოქროს ვარსკვლავის გადაცემისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აქ ჭეშმარიტად ოქროს სიტყვები წარმოთქვა ბელორუსიის, მისი კომპარტიისა და მშრომელების შესახებ. უკეთესს ვერ იტყვი. (ტაში).

ლეონიდ ილიას ძეს აქვს საოცარი ნიჭი — ამოიკითხოს ხალხის აზრები. მას, როგორც არავის, შეუძლია გამოხატოს ხალხის ნება, ფიქრი და მისწრაფება, მას, როგორც არავის, შეუძლია დღეს იგრძნოს ქვეყნისა და მთელი ჩვენი ხალხის ხვალინდელი საზრუნავი.

იგი ჭეროვან პატივს მიაგებს ხალხებს და ხალხებიც სიყვარულითა და მადლიერებით აჯილდოებენ მას.

აი რატომ იყო, რომ ამ დღეებში სამშობლომ, პარტიამ, ხალხმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადასცეს ლენინის ორდენი და საბჭოთა კავშირის გმირის მესამე ოქროს ვარსკვლავი. ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, სულითა და გულით შევუერთო ჩემი ხმა ლეონიდ ილიას ძისადმი მხურვალე მილოცვებს და ვუსურვო მას დღეგრძელობა და ახალი გამარჯვებანი მშვიდობისა და კომუნიზმის საქმის საკეთილდღეოდ! (ხანგრძლივი ტაში).

მოძმე ბელორუსიის მე-60 წლისთავს ვზეიმობთ ახალი წლის წინ. საქართველოში არის ასეთი ხალხური რწმენა: თუ ახალი წლის წინა ღამეს სახლის ზღურბლს კეთილი ადამიანი გადმოაბიჯებს, ამ სახლში ბედნიერად იცხოვრებენო. დღეს შენს ზღურბლს, ბელორუსიავ, გადმოაბიჯეს შენმა ყველაზე ერთგულმა, ყველაზე ნაცადმა და კეთილმა მეგობრებმა. დაე ჩვენი სიხარული ავსებდეს შენს ნათელ და ცამაღალ მიწას! (ხანგრძლივი ტაში).

და როგორც თქვენმა შესანიშნავმა პოეტმა თქვა: ვიდრე ციმციმებენ ვარსკვლავნი, ვიდრე ანათებს მზე, მუდამ იქნები შენ, ბელარუსო, მარად იცოცხლებ შენ, ჩვენი მოძმე რესპუბლიკების საყვარელო დაო! (ტაში).

დიდება შენ, ბელორუსიავ, — თითოეული საბჭოთა ადამიანის მშობლიურო მხარევ! (ტაში).

მარად ცოცხლობდე და დღეგრძელობდე, აშენებდე და იმარჯვებდე შენ! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

მადლობა შენ, 1978 წელო!

# ენგურჰესიდან ხუდონჰესამდე

(დასასრული)

დღეს გიგანტური კასკადის მშენებლები და მემონტაჟეები აცხადებენ: „ჩვენი შრომის მაღალი შეფასებით აღფრთოვანებულნი, ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ შევასრულოთ პარტიის დიადი წინასწარდასახულობანი. ენგურჰესის სამი აგრეგატი კომუნიზმისათვის მუშაობს! რიგში დგას კიდევ ორი აგრეგატი! წინ ხუდონჰესია!“

ხუდონი... ეს პატარა სოფელი, რომელიც სვანეთის მთის კალთებზეა შეფენილი, არაფრით არ გამოირჩეოდა ათობით სხვა სოფლისაგან. დღეს კი ხუდონს უკვე იცნობენ საქართველოს ბევრ კუთხეში, იცნობენ მოძმე რესპუბლიკებში. აქ მოვიდნენ ისინი, ვინც იმორჩილებს ზობოქარ ენგურს, ლითონისა და ბეტონის ჯავშანს აცმევს მას. ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი (271,5 მეტრი) პირველი თაღოვანი კაშხალი სოფელ ჯვარზენთან შენდება, მეორე, მომცრო (190 მეტრი) — სოფელ ხუდონის მახლობლად. ხუდონის სადგურის ენერგოაგრეგატები, რომელთა სიმძლავრე 740 ათასი კილოვატი იქნება, ყოველწლიურად 1,7 მილიარდ კილოვატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. ეს ჰესი უდიდეს როლს შეასრულებს სვანეთის საწარმოო ძალების განვითარებაში, ჭარბად მიაწვდის ელექტროენერგიას ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკას, შემდეგ კი ელექტროგადამცემი ხაზით — ენგურჰესი–სტავროპოლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური — რუსეთის ფედერაციის სამხრეთ რაიონებს.

უკვე გაყვანილია გზები ახალი დიდი მშენებლობისაკენ. დღეს ხუდონში შრომობენ პირველგამკვალავნი. ახალგაზრდობამ მომავალი მუშათა დაბის შესასვლელთან, გზაჯვარედინზე უკვე აღმართა ბოძი წარწერით: „ხუდონჰესი დამკვრელური კომკავშირული მშენებლობაა“. და აქ, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა დიდ მშენებლობაზე, პირველნი მოვიდნენ კომკავშირელები.

მათ მხარში ამოუდგებიან ისინი, ვინც მდიდარი გამოცდილება შეიძინა ენგურჰესის, ჩვენი ქვეყნის სხვა დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე. უკვე ახლა ცნობილია, რომ მასალებითა და მოწყობილობით მშენებლობის დაკომპლექტებაში მონაწილეობას მიიღებს რუსეთის სფს რესპუბლიკის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ათობით საწარმო.. ასე რომ, გაგრძელდება სოციალისტური შეჯიბრებაც პრინციპით „მუშური ესტაფეტა“.

ენგურჰესის სამი აგრეგატის გაშვების და ხუდონჰესის მშენებლობის დაწყების გამო გაიმართა საზეიმო მიტინგი. ტრიბუნაზე არიან ამხანაგები **ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, ზ. ა. პატარიძე, ს. ე. ხაბეიშვილი**, ქალაქების თბილისის, ზუგდიდის, მესტიის, გალის, წალენჯიხის რაიონების პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, სამშენებლო და სამონტაჟო ტრესტების, საპროექტო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები.

მიტინგი გახსნა „ენგურჰესმშენის“ პარტკომის მდივანმა **ა. ჭითანავამ.**

**სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს. მან თქვა:**

**ალბათ, ყველანი დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ ამ მთებსა და ცას ამ მიწაზე არასოდეს არ უნახავთ იმდენი ხალხი, რამდენიც ამ ბოლო დროს მესამედ იკრიბება აქ. მესამედ აღვნიშნავთ რესპუბლიკის ცხოვრების დიდმნიშვნელოვან მოვლენებს, და სამჯერვე — მეტად ღირსშესანიშნავ დღეებში.**

**გავიხსენოთ: პირველად შევიკრიბეთ პირველი მაისის წინ, ჯვრის წყალსაცავის ავსების გამო. მეორედ — დიდი ოქტომბრის წლისთავის წინ, როცა დენი გამოუშვა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის პირველმა აგრეგატმა. ის დღეები დიდხანს დაამახსოვრდა ყველას, უმთავრესად იმიტომ, რომ სახელოვან მშენებელთა გმირულმა** შრომამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ამ დღეებში რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოდის შრომითი პატაკები. 12 დეკემბრისათვის ვადამდე შესრულდა სამრეწველო პროდუქციის წარმოების სამი წლის გეგმა. დავალების გადამეტებით იქნება რეალიზებული 500 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების უმნიშვნელოვანეს სახეობათა ეს პროდუქცია. არნახული მოსავალი მოიწიეს ჩაის პლანტაციათა მშრომელებმა. სასახელოდ იშრომეს ჩვენმა მევენახეებმა, მხვნელ-მთესველებმა, მეციტრუსეებმა, მეცხოველეებმა.

პირველი აგრეგატის შემდეგ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მუშაობის დღეებში, საექსპლოატაციოდ გადაეცა ენგურჰესის მეორე ჰიდროაგრეგატი, დღეს კი ახალი, 1979 წლის, მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის ზღურბლზე ამიერკავკასიის გაერთიანებულ ენერგოსისტემაში ჩაირთო მესამე აგრეგატი. ამრიგად, ჰიდრომშენებელთა სოციალისტური ვალდებულებანი წარმატებით შესრულდა!

სწორედ ამ მოვლენას ეძღვნება ჩვენი დღევანდელი მიტინგი. ამიერიდან სადგურის 780 ათასი კილოვატი სიმძლავრის სამივე აგრეგატი ხუთწლედისათვის მუშაობს. სახალხო მეურნეობამ უკვე მიიღო 40 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რომელიც ენგურჰესმა გამოიმუშავა.

ნება მიბოძეთ ამ ტრიბუნიდან, დღეს რესპუბლიკაში ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან, მხურვალედ მოგილოცოთ ყველას, და თქვენი სახით — მშენებლობის ყველა მონაწილეს ეს ახალი დიდი შრომითი გამარჯვება.

მაგრამ დღევანდელი ჩვენი მიტინგი იმის გამოც გაიმართა, რომ რესპუბლიკის ცხოვრებაში მოხდა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა — დაიწყო ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის — მდინარე ენგურზე კიდევ ერთი მსხვილი ჰიდროენერგეტიკული ობიექტის—მშენებლობა.

მსოფლიოში უმაღლესი თაღოვანი კაშხალიდან 82-ე კილომეტრზე მდინარის დინების აყოლებით, სოფელ ხუდონის მახლობლად იწყება 200 მეტრამდე სიმაღლის მეორე თაღოვანი კაშხალის მშენებლობა. ეს იქნება 740 ათასი კილოვატი სიმძლავრის ხუდონის სადგური.

როგორც ხედავთ, მუშური ესტაფეტა სულ უფრო მაღლა მიიწევს, უახლოვდება ზემო სვანეთის თოვლიან მწვერვალებს.

ახალი ჰიდროკვანძის, მშენებლობის დაწყებას კარგი საფუძველი აქვს. შეიქმნა მძლავრი საწარმოო ბაზა, შექმნილია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტებისა და მშენებლობის კარგი გამოცდილება. დღემდე ასეთი პრაქტიკა არ გვქონია. იგი კვლავაც უნდა განვავრცოთ. საჭიროა გეგმაზომიერად ავითვისოთ მდინარეები, ამავე დროს გამოვიყენოთ არსებული საწარმოო ბაზები, მისასვლელი გზები, დაბები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები. ეს, ამხანაგებო, ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის გაიაფებისა და მისი ვადების შემცირების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა.

იყო დრო, როცა ენერგეტიკის განვითარების მთავარი წყარო მტკვრის წყლის მაგისტრალი გახლდათ. შემდეგ იგი შეცვალეს რიონმა, ხრამმა. ახლაც, რა თქმა უნდა, ფართოდ ვიყენებთ ამ მდინარეების ჰიდროენერგორესურსებს, მაგრამ სამი ხუთწლედის განმავლობაში მაინც მდინარე ენგური იქნება ძირითადი და მთავარი ცისფერი არტერია, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის შემდგომი განვითარების წყარო გახდება.

8 მილიონ 300 ათასი კილოვატი დაგეგმილი სიმძლავრე და წელიწადში 10 მილიარდამდე კილოვატსაათი გამომუშავებული ელექტროენერგია — ასეთია ენგურის კასკადის, ყველა იმ სადგურის პარამეტრები, რომლებიც მდინარე ენგურზე აღიმართება.

კასკადის უწყვეტი ქმედება, ენერგეტიკული ეფექტის გადიდება, საშუალებას მოგვცემს დავაჩქაროთ იმ რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარება, სადაც ჰიდროსადგურები შენდება, ხელს შეუწყობს რწყვის, წყალმომარაგების, გზების მშენებლობის პრობლემების გადაწყვეტას ისე, რომ არ შეიცვალოს ეკოლოგიური ვითარება და არ დაირღვეს მესტიამდე საუცხოო ტურისტული ტრაქტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამუშაოთა დაჩქარებას. ამოცანა ის არის, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის ძირითადად დამთავრდეს ამ ჰიდროკომპლექსის მშენებლობა. დღეს მინდა გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ, თუ გამოვიყენებთ ენგურჰესის მშენებლობის გამოცდილებას და იმ მაღალ პოლიტიკურ და შრომით აღმავლობას, რომელიც კოლექტივში სუფევს, ეს ახალი პასუხსაგები სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაც წარმატებით გადაწყდება!

ახალ, 1979 წლამდე, შეიძლება ითქვას, საათებიღა დარჩა. წავიდა 1978 წელი, დამკვრელური შრომის წელი, პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებული რეალიზაციის წელი. ეს იყო საბჭოთა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების, საბჭოეთის თავდაცვითი ძლიერებისა და საერთაშორისო ავტორიტეტის განმტკიცების, საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მშვიდობისა და პროგრესის პოლიტიკის გამარჯვების წელი.

წლის მიწურულს ღირსშესანიშნავი ნიშანსვეტი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი, ამ პლენუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლა, მისი ფუძემდებლური დასკვნები და დებულებანი, რომლებშიც მოცემულია ხუთწლედის მეოთხე წლის საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის გაშლილი პროგრამა, განსაზღვრულია კომუნისტური მშენებლობის მორიგი ამოცანები.

ამის საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შეიმუშავა საქართველოს რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი.

წინ ბევრი საქმე, დიდი მუშაობა მოგველის. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ უნდა გადაწყვიტოს რთული და პასუხსაგები ამოცანები, რომლებსაც საქართველოს კომუნისტების, მთელი ჩვენი ხალხის ჯარჯა სჭირდება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერგეტიკის უპირატეს განვითარებას. ბევრი რამ უნდა გააკეთონ ენგურჰესის მშენებლებმა. 1979 წელს უნდა ამუშავდეს კიდევ ორი აგრეგატი. ხუთწლედის დამლევისათვის სადგური უნდა ამუშავდეს სრული — მილიონ 300 ათასი კილოვატი სიმძლავრით.

1978 წელს ჩვენ კანონიერი სიამაყის გრძნობით ვაცილებთ. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის დაჯილდოებამ ლენინის ორდენითა და მესამე „ოქროს ვარსკვლავის“ მედლით. მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ ულოცავს ლეონიდ ილიას ძეს სამშობლოს ამ მაღალ ჯილდოს. ჩვენც ვუსურვოთ მას ყოველგვარი სიკეთე, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ქვეყნად მშვიდობისა და პროგრესის საქმის საკეთილდღეოდ!

ჩვენში დღეს დასაბამი მიეცა ახალ შრომით გმირობას. დაიდგა მემორიალური დაფა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების აღსანიშნავად. მომავალი კაშხალის ადგილას დამუშავებულია პირველი რამდენიმე კუბური მეტრი მიწა. ეს უადრესად საგულისხმოა: ახალი წლის წინ დაიწყო ახალი დიდი საქმე, საძირკველი ჩაეყარა ახალ გრანდიოზულ მშენებლობას. და დაე, ეს იყოს იმის საწინდარი, რომ დაწყებული საქმე წარმატებით დაგვირგვინდება.

ამიტომ ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, ორმაგად მოგილოცოთ ახალი, 1979 წელი და ახალი დიდი მშენებლობის დაწყება, აგრეთვე გისურვოთ თქვენ ყველას, თქვენს კოლექტივებს და თქვენს ოჯახებს ჯანმრთელობა, სიხარული და დიდი ბედნიერება, ახალი სასახელო შრომითი წარმატებანი ჩვენი დიადი სამშობლოს კეთილდღეობისათვის, კომუნიზმის გასამარჯვებლად!

გილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო!

გისურვებთ ახალ შრომით გამარჯვებებს!

მიტინგზე გამოვიდნენ ენგურჰესის მშენებლობის უფროსი მ. ცისკარიშვილი, „საქმთავარენერგოს“ სამმართველოს უფროსის მოადგილე ი. მამალაძე, პარტიის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი ს. კარტოზია, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, პოეტი ჯ. ჩარკვიანი და სხვები.

„ენგურჰესმშენის“ კოლექტივმა იკისრა 1979 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. (საქინფორმი).

ახალი წლის მიჯნაზე



წარმატებით ხვდება ახალ წელს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მეთოთხმეტე საამქროს კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ლენინის ორდენოსანი ზურაბ გველუკაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის კოლექტივის შრომით კალენდარზე ახლა 1979 წლის ივლისია, ხოლო თვითონ ზურაბმა ახალი წლისათვის უკვე შეასრულა პირადი ხუთწლიანი გეგმა.

ახალი წლის წინ საწარმოს პროფკავშირის კომიტეტმა ბრიგადის წევრებს თოვლის პაპა და მორთული ნაძვისხე მიართვა.



სურათზე: ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. გოგელიძე (მარცხნივ) საახალწლო საჩუქარს გადასცემს ბრიგადის ხელმძღვანელს ზ. გველუკაშვილს (მარჯვნიდან მესამე).

ვლ. გინზბურგის ფოტო.



კომუნისტი ლამარა ახალაძე ერთ-ერთი საუკეთესო მქსოველთა თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში. მას ბაძავენ, მისგან სწავლობენ ახალბედა მუშები. ამ სურათზე აღბეჭდილი არიან № 36 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის პრაქტიკანტები, რომლებსაც ლამარა გადასცემს თავის გამოცდილებას (მარცხნიდან): რუსუდან ძიმისტარაშვილი, მანანა ოსიკმაშვილი, ლამარა ახალაძე, ქეთინო თვაური და (ზურგით) იზოლდა ძიმისტარაშვილი.

ა. სააკოვის ფოტო.

# თქვენთვის, სპორტსმენებო!

## მწყობრში ჩადგა მძლეოსნობის ახალი მანეჟი

**ახალი წლის წინ პირველი კლასის სპორტული ნაგებობა შეემატა თბილისს — საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის რაიონში მწყობრში ჩადგა მძლეოსნობის მანეჟი.**

— ეს ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული ნაგებობაა, — ასე დაახასიათა ახალი მანეჟი სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. სანეევმა.

მანეჟი აგებულია საქართველოს პროფსაბჭოს ინიციატივითა და სახსრებით. პროექტის ავტორები არიან „საკურორტპროექტის“ ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქიტექტორები მ. ლიპარტელიანი, მ. ჩხენკელი და რ. ჯანაშია. მანეჟი ააგეს „საკურორტმშენის“ ტრესტის აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს მშენებლებმა. მანეჟი მიღებულია „ფრიადი“ შეფასებით. იგი გათვალისწინებულ ვადაზე თითქმის წლინახევრით ადრე გაიხსნა.

აქ ყველა პირობაა სრულფასოვანი წვრთნისათვის: სპარტანით დაფარული ორასმეტრიანი სარბენი ბილიკი, ორმოები სიმაღლეზე, სიგრძეზე, ჭოკით ხტომისათვის, ბადრის სატყორცნი სექტორი. მანეჟში ერთდროულად შეუძლია ვარჯიში 500 კაცს. მთავარი სპორტული მოედნის ქვეშ გათვალისწინებულია ექვსი მეტრი სიგანის 115 მეტრიანი ვარჯიშისწინა გალერეა.

სპორტულ კომპლექსში შედის აღსადგენი ცენტრები, მეთოდიკური კაბინეტები, ასადგილიანი სასტუმრო, კონფერენც-დარბაზი. ტრიბუნები გათვალისწინებულია 1200 მაყურებლისათვის.

31 დეკემბერს — მანეჟის საზეიმო გახსნის დღეს აქ გაიმართა სპორტული დღესასწაული. აქ მოვიდნენ ამხანაგები **ე. შევარდნაძე, პ. გილაშვილი, გ. ენუქიძე, შ. კიკნაძე, გ. კოლბინი, ზ. პატარიძე, ზ. ჩხეიძე, თ. მოსაშვილი, ჟ. შარტავა, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი.**

სპორტსმენებსა და მშენებლებს გულთბილად მიულოცეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **თ. მენთეშაშვილმა**, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა **ე. კაპბამ**, ცნობილმა ქართველმა დისკოს მტყორცნელმა **ნ. ლაბაძემ**, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგემ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **დ. იოსელიანმა**, მშენებელმა **თ. გოგოლაძემ**, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ხუციშვილმა**. (საქინფორმი).

# სულით და გულით

## ბამელები მოგვესალმებიან, ბამელები გვიმადლიან

**ჩვენს** მხარეში ახალი წელი თბილისთან შედარებით ექვსი საათით ადრე დგება. ეს საათის მიხედვით. სინამდვილეში კი იგი კალენდარულ დროზე დიდი ხნით ადრე დაგვიდგა. საქართველოს რაზმმა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობაზე, ისევე როგორც წინა წლებში, ვადამდე შეასრულა წლიური პროგრამა და სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მტკიცედ უპყრია ხელთ გარდამავალი წითელი დროშა.

ექსპლოატაციის მუშაკთა დაბის მშენებლობა ძირითადად უკვე დამთავრდა, შესასრულებელი დარჩა მხოლოდ საკომუნიკაციო სამუშაოები. ახლა უნდა ავაშენოთ ნია-გრუზინსკაიას რკინიგზის სადგური, სკოლა. დაახლოებით ერთი წლის სამუშაო დაგვრჩა.

როგორც ყოველთვის, შეხმატკბილებულად ვმუშაობთ. ციმბირში დიდი ყინვაა, მაგრამ „ციმბირელი ქართველები“ აქაურ ყინვას დიდი ხანია მიეჩვივნენ. მშობლიურ მიწა-წყალთან რეგულარული კავშირი კი ყველას გვათბობს და გვამხნევებს.

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა სულით და გულით მივულოცო ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს, მევენახეებს, მეციტრუსეებს რეკორდული მოსავალი, ხოლო ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებს, რომლებმაც ვადამდე აამოქმედეს სადგურის სამი აგრეგატი, ვუსურვებ ასევე წარმატებით დაეგვირგვინებინოთ მეათე ხუთწლედის მეოთხე წელიც.

**ა. დვალიშვილი,**
**„საქბამმშენის“ სამმართველოს უფროსი (საქინფორმი).**

# მიიღე[...]
## დედასამშობლო[...]
### არის პირველი ქართული აგლომერა[...]

**ზესტაფონი**, 30 დეკემბ[...] (საქინფორმის კორ). 1979 წ[...] წინ ზესტაფონელმა მეტალურგ[...]მა ახალი შრომითი გამარჯვ[...] მოიპოვეს: ფეროშენადნობთა ქ[...]ხანაში ვადამდე გადაეცა საექ[...]ლოატაციოდ კომპლექსი, რომ[...]მაც დღეს გამოუშვა პირველი [...] მდენიმე ტონა ქართული აგლო[...]რატი.

აგლომერატის გამოყენება [...] საშუალებას მისცემს მეტალურგ[...] გააუმჯობესონ პროდუქციის ხა[...]სხი, შეამცირონ ღუმელების [...]ცდენა, კოქსისა და ელექტრო[...]რგიის ხარჯვა.

ახალი კომპლექსი გადაამუ[...]ვებს ჭიათურის დაბალი ხარის[...] მადანს, რომელსაც წინათ არ ი[...]ნებდნენ წარმოებაში.

კომპლექსის ამუშავებასთან [...] კავშირებით ქარხანაში გაიმა[...] ხალხმრავალი მიტინგი.

ზესტაფონელმა მეტალურგე[...] აღუთქვეს პარტიასა და მთავ[...]ბას, რომ ისინი ახალ, 1979 წ[...] უფრო ფართოდ გაშლიან სოც[...]ლისტურ შეჯიბრებას ხუთწლე[...] მეოთხე წლის დავალებათა წარ[...]ტებით რეალიზაციისათვის.

მიტინგზე სიტყვა წარმოთ[...] საქართველოს კომპარტიის ცე[...]რალური კომიტეტის მდივანმა [...] ჩხეიძემ.

### ვარციხის ჰიდრო-ელექტროსადგურის მშენებელთა გამარჯვება

**30 დეკემბერს** საექსპლოა[...]ციოდ გადაეცა ვარციხის ჰიდრ[...] ელექტროსადგურის მეორე რი[...] კიდევ ორი — №3 და №4 აგრე[...]ტი.

ვარციხის ჰიდროელექტროსა[...]გურის მშენებლობის უფრო[...] ო. ჭინჭარაულმა საქინფორ[...] კორესპონდენტს უთხრა:

— სერიოზული სიძნელეე[...] მიუხედავად, ვარციხის ჰიდრო[...]ლექტროსადგურის მშენებლე[...] შეასრულეს პირობა და ახა[...] წლის წინ, დადგენილ ვად[...] უპატაკებენ სამშობლოს წარმა[...]ბას. ორივე აგრეგატი შეუფერ[...]ბლად მუშაობს და ჩართულ[...] საქენერგოს ქსელში.

ორივე აგრეგატის სიმძლავ[...] 46 ათასი კილოვატი. ამიერი[...] სადგური ყოველწლიურად გამ[...]უშვებს 250 მილიონ კილოვატ[...]ათ ელექტროენერგიას.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1. მადლი შრომისა

[illegible] მონაპოვარი. განვლილ სამ წელიწადში წარმოებულია 450 მილიარდი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია, ვიდრე მეცხრე ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში. მართლაცდა, გასაოცარი ციფრია. მივაქციოთ ყურადღება კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან მონაცემს. სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდები 159 მილიარდი მანეთით გაიზარდა და ახლა ტრილიონ მანეთს მიაღწია. ეს კი უდრის სამოციანი წლების დამდეგისათვის არსებულ მთელ ძირითად საწარმოო ფონდებს. ქვეყანას არასოდეს არ ჰქონია ესოდენ მძლავრი ეკონომიკური პოტენციალი, ესოდენ განვითარებული მრეწველობა, მეცნიერება და ტექნიკა. და ეს მით უფრო სასახელო და სასიამოვნოა, რომ ჩვენი დიადი ქვეყნის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის წინსვლაში ჩვენი, საბჭოთა საქართველოს მშრომელების გარკვეული წვლილიც არის.

ჩვენმა რესპუბლიკამ მეათე ხუთწლედის სამ წელიწადში ცხოვრების ყველა სფეროში არნახულ წარმატებებს მიაღწია. ამ მიღწევებზე ბევრი ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის მეათე სესიაზე. გვახარებს, რომ ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში რესპუბლიკა გაუთანასწორდა საერთოსაკავშირო მაჩვენებლებს, ხოლო ზოგიერთ დარგში დაწინაურდა კიდეც. საქართველოს საერთო-ეკონომიკური პოტენციალის ზრდას, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული შემოსავლის უპირატესი ზრდა გამოხატავს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობა 22,9 პროცენტით გაიზარდა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 16 პროცენტის ნაცვლად.

ეს ციფრები ძალზე საგულისხმოა. საგულისხმოა ისიც, რომ ღონისძიებები, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მთელი ჩვენი საზოგადოება თანამიმდევრულად ახორციელებს ყოველგვარი ნეგატიური მოვლენებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ, საუკეთესო შედეგს იძლევა. რესპუბლიკაში იგრძნობა მორალური და ფსიქოლოგიური კლიმატის გამოჯანსაღება. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ჩვენი რესპუბლიკისა და მისი პარტორგანიზაციის პრესტიჟის, ავტორიტეტის ზრდას. მე, როგორც მუშათა კლასის წარმომადგენელს, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი რესპუბლიკის, საქართველოს კომუნისტებისათვის, ყველა მშრომელისათვის დიდი პატივია რესპუბლიკის წარმომადგენლობა პოლიტბიუროში. ეს იმის მაღალი შეფასებაა, რაც ჩვენში გაკეთდა და კეთდება.

დღეს ჩვენ დიდი პოლიტიკური მოვლენის წინაშე ვდგევართ. საბჭოთა სახელმწიფო ემზადება თავისი უმაღლესი ორგანოს, სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. საარჩევნო კამპანიაში დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ეტაპი დადგა: დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. და აი, ასეთ ვითარებაში მე, 24 წლის ახალგაზრდა მუშას, ჩემმა თანამოსაქმეებმა, ქარხნის კოლექტივმა დიდი მოქალაქეობრივი ნდობა გამომიცხადეს და დამასახელეს მომავალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში. ყოველივე ეს არის ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის — ახალი კონსტიტუციით მონიჭებული დიდი მოქალაქეობრივი უფლება, რომელიც ჭეშმარიტი დემოკრატიის გამოხატულებაა.

ჩემი ბიოგრაფია არაფრით განსხვავდება სხვა ჩემი თანატოლების ბიოგრაფიისაგან. ვცდილობ ვიშრომო ისე, რომ სარგებლობა მოვუტანო ჩემს თავსაც და საზოგადოებასაც, ჩვენს მრავალეროვან და მრავალათასიან კოლექტივს. აკი დამიფასდა კიდეც. ვიყავი სრულიად საკავშირო ალკკ XVIII ყრილობის დელეგატი, ვარ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი. მაგრამ გამონაკლისი როდი ვარ. გულს უხარია, რომ ამ დღეებში ჩვენი სახელოვანი მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი ოთარ ლომიძე დასახელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

თითოეულ ჩვენგანს დღეს ცხოვრება ახალ ამოცანებს ვვიყენებს. განა გვაქვს უფლება ჩავიკეტოთ მარტო ჩვენი საწარმოს ფარგლებში? გულგრილი როდი ვარ იმის მიმართ თუ როგორ მუშაობენ, მაგალითად, ციმბირელი ნავთობის მომპოვებლები, სუმგაითელი მეტალურგები ან ვოლგელი მანქანათმშენებლები თუ ფოთელი დოკერები. ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ეს ერთი, მთლიანი ორგანიზმია, ერთი დეტალის დაზიანებამ შეიძლება საერთო სახალხო საქმეს ზიანი მიაყენოს.

მაშასადამე, მიღწეულით დაკმაყოფილება საქმისათვის საზიანოა. აი, ეს გვაფიქრებს, ეს გვაიძულებს გავაანალიზოთ მოპოვებული წარმატებები. დასკვნა კი ერთია — მომავალში მეტის გაკეთება და მიღწევა შეიძლება. ამას იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ თითოეული ჩვენგანი ყოველ სამუშაო უბანზე დაკისრებული საქმისათვის პირად პასუხისმგებლობას აამაღლებს, შეეცდება იმუშაოს დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ, ხოლო ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს.

მე ხშირად მიფიქრია: რატომ ხდება, რომ ერთნაირ პირობებში მყოფი ადამიანები სხვადასხვა შედეგს აღწევენ? მაგალითისათვის თუგინდ ჩვენი მარტენის საამქრო ავიღოთ. ღუმელები აქ თითქოსდა ერთნაირია. მათზე მომუშავე ბრიგადები ისეა შედგენილი, რომ ყოველ მათგანში გამოცდილი მეფოლადეა, ნედლეულიც, თავისი ხარისხობრივი თვისებებით, ერთნაირია. მაგრამ შედეგები სხვადასხვაა. თუ № 1 ღუმელზე მომუშავე ყველა ბრიგადა დავალებებს შესანიშნავად ართმევს თავს, სამაგიეროდ, № 3 ღუმელის კოლექტივი ჩამორჩება. მაშასადამე, ამ კოლექტივს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, რომ ასეთი „პატარა" ხარვეზი საგრძნობ ზიანს აყენებს საერთო-სახელმწიფოებრივ საქმეს, სახელს უტეხს ჩვენს მუშურ ღირსებას.

ეს მეტადრე მაშინ, როცა ჩვენსავე თაოსნობას — „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენ გვერდით!" — რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში ათიათასობით მიმდევარი ჰყავს.

ჩვენი თაოსნობა იშვიათი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა. ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ მოვიშველიო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „ჩვენ არ გვჭირდება ხმაური და ჰაი-ჰუი შეჯიბრების გამო. ჩვენ გვჭირდება თითოეული მშრომელის, თითოეული შრომითი კოლექტივის ცოცხალი დაინტერესება თავისი მუშაობის გაუმჯობესებით. ჩვენ არ გვჭირდება გამოგონილი „თაოსნობები", ჩვენ გვჭირდება საქმიანი, ნამდვილად მასების წიაღიდან მომავალი ინიციატივები, რომლებსაც შეუძლიათ აღანთონ და ფრთა შეასხან მილიონობით ადამიანს. ერთი ასეთი ინიციატივათაგანია უჩამორჩენილებოდ მუშაობა. სწორედ ასეთი თაოსნობანი უნდა გავავრცელოთ".

ამას წინათ ამ თაოსნობის არსი უფრო დაიხვეწა და კონკრეტული გახდა. მარტენის საამქროს № 8 ღუმელის ბრიგადის კოლექტივმა, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ო. ლომიძე ხელმძღვანელობს, მოუწოდა რესპუბლიკის ყველა საწარმოს იმუშაონ დევიზით: „არც ერთი ჩამორჩენილი ბრიგადა, უბანი, ცვლა და საამქრო".

აჰა, დადგა 1979 წელი, ხუთწლედის მეოთხე წელი, საბჭოთა ხალხის ახალი, შემოქმედებითი მუშაობის წელი.

ჩვენი ამოცანები ნათელი და კონკრეტულია. ახალი წლის მოსვლას და დიდ გამარჯვებებს გილოცავთ, მეგობრებო!

**ზ. ძნელაძე,**

**რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი.**

მუშის თავკაცობით

## როცა განვლილს ვაჯამებთ და მომავალზე ვფიქრობთ

გლეხკაცის მარჯვენით

# 2. სიუხვე დაგვებედოს!

ჩვენს ბრძენკაცს, ილია ჭავჭავაძეს უთქვამს: „მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდან ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ". ...და რამდენად სასიხარულოა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს განვლილი წლის ცხოვრებიდან ბევრი სასარგებლოს გამოტანა შეუძლიათ. ჩამოვთვალოთ?

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, გაზეთის ერთი გვერდიც არ ეყოფა!

...და მაინც უნდა ჩამოვთვალოთ:

ჯერ ის უნდა ვთქვათ, თუ რა პირობებში გვიხდებოდა შრომა, რა ფასად დაგვიჯდა გამარჯვებები. განა დასავიწყებელია განვლილი გაჭიანურებული გაზაფხული? ჩვენმა მემინდვრეებმა ხომ არნახული გმირობა ჩაიდინეს! აბა სად თქმულა მაისის დამლევსა და ზაფხულის პირველ თვეებში სიმინდი ითესებოდეს! დათესეს, მაგრამ წვიმა თავისას არ იშლიდა, კარგა ხანს აღარ გადაიღო, მერე სეტყვაც წამოუშინა, ვენახები დაგვიზიანა, ნათესების დამუშავება გაგვიჭირდა, შაბი და ხვართქლა მოერია. სწორედ მაშინ იყო, რომ ქუდზე კაცი გამოვიდა სამუშაოდ და ნათესები, ასე იყო თუ ისე, დამუშავდა.

მერე სათიბად გავიდა ქუდზე კაცი, რადგან მაშინაც ავდარი იყო. თიბვა ჩათავდა თუ არა, ალოობაც დაიწყო, მაგრამ ავდარი ისევ ავდრობდა და კომბაინერებს მკა საკმაოდ გაუჭირდათ. მერე კი, როცა გამოიდარა, გაგიხარიათ! ჩვენმა მექანიზატორებმა და მემინდვრეებმა რა გმირობაც გამოიჩინეს, ქვეყანამ იცის, პურეულის აღებისა და დამზადების გეგმები დიდი გადამეტებით შესრულდეს.

ალოობიდან დაწყებული რთველამდე ჩვენს ვენახებს ცის ნამი არ ღირსებია. ძალიან გაუჭირდა ვაზს, და საფიქრალს მიეცა მევენახე. დიდი გარჯითა და ჯაფით მოყვანილი ყურძნის მოსავალი ხელიდან გვეცლებოდა. ისევ ქუდზე კაცის დაძახება დაგვჭირდა და საერთო-სახალხო საქმისათვის თავს ვინ დაზოგავდა? გადარჩა ზვრები!

ამასობაში კი ჩვენი მეჩაიეები დიდ გამარჯვებას ყოველდღიური, მუყაითი შრომითა და ერთგულებით, საქმის სიყვარულით ჰპედდნენ. ის-ის იყო რთველი დაიწყო და ჩვენი სახელოვანი მეჩაიეების გამარჯვების ამბავი კიდით კიდემდე მოედო ჩვენს ქვეყანას. მაშინ ჩვენც, მევენახეებმაც, გულითა და სულით მივულოცეთ მწვანე პლანტაციების გმირებს წარმატება. ხუმრობა ხომ არ არის 435 ათას ტონაზე მეტი ჩაის მოკრეფა! ჩვენ მაშინ პირობა დავდეთ, რომ მეჩაიეთა მაგალითისამებრ გვეშრომა და დიდი გადამეტებით შეგვესრულებინა ყურძნის დამზადების ვალდებულება.

რთველშიც ქუდზე კაცი გამოვიდა! მევენახეების შრომა და გარჯა დაფასდა, უხვი რთველი გვქონდა. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად გადავლახეთ ნახევარმილიონიანი ზღუდე, პირველად მივიტანეთ სახელმწიფო მარნებში 574 ათას ტონაზე მეტი ყურძენი. აქედან 390 ათას ტონაზე მეტი კახეთის ზვრებიდან იყო.

მე ჩუმლაყელი კაცი ვარ და ცალკე უნდა ვთქვა გურჯაანელ მევენახეებზე. ვერც ღვართქაფმა და სეტყვამ ვერ გატეხა ჩვენი მევენახეები და დათქმული 100–110 ათას ტონაზე გაცილებით მეტი ყურძენი მივყიდეთ სახელმწიფოს. 114 ათასი ტონა ყურძნის მარტო მოკრეფა თქვით! ახლა მიწის ხუთ-ექვსჯერ დამუშავება? შვიდ-რვაჯერ შეწამვლა? გასხვლა, შეყელვა, ახვევა, ფურჩვნა, წვერების წაწყვეტა, გოგირდის შეფრქვევა? ...და ყველაფერი ეს კეთდებოდა ავდარსა და თავსხმაში.

ჩვენი სოფელი ჩუმლაყი გურჯაანის რაიონში ერთ-ერთი ძლიერია, კოლმეურნეობაც სიუხვით არის სახელგანთქმული. აქაური მევენახეები ვაზის ნამდვილი მესაიდუმლეები, ამ დალოცვილ მცენარეზე ერთობ შეყვარებული არიან. ეს ფესვმაღლიანი ვაზიც გამრჯე კაცს ერთიასად უფასებს ამაგს. შარშან ჩვენმა სოფელმა ათიათას ტონამდე ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს. განა საამაყო არ არის?

რომელი ერთი ჩამოვთვალო — გამარჯვებები ბევრი იყო სოფლად, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობიაო — ზოგიერთ საქმეში მოვიკოჭლეთ. ალბათ გულგრილობისა თუ გულარხეინობის ბრალია, რომ ზოგმა ვერ შეასრულა ხილისა და ბოსტნეულის დამზადების გეგმები, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დავალებები. აქ ამიტომაც წარმატების მოპოვება ამ საქმეში გვიჭირს.

შეიძლება ვინმემ თქვას: ახალი წლის პირველ დღეს, ასეთი დიდი გამარჯვებების დროს, ეს რა სათქმელიაო. ნაკლის სათქმელად დრო და ადგილი განსაზღვრული როდია! ვინც ასე ფიქრობს, იმას ქართულ ანდაზას მოვაგონებ — მოყვარეს პირში უძრახეო! თანაც ამას იმიტომ ვამბობ, რომ ზოგიერთი ნაკლი ყოველ წელიწადს ქრონიკულად მეორდება და თუ წლის პირველივე დღიდან არ მივხედეთ, საქმე წაგვიხდება და ნაკლი ნაკლად დაგვრჩება.

როგორც ვხედავთ სოფლად საახალწლოდ სათქმელი და საამაყო ბევრი გვაქვს. მთავარი ის არის ამ წელს ნაკლი გამოვასწოროთ, მიღწეული წარმატებები ვამრავლოთ და მეათე ხუთწლედის მეოთხე წელიწადი გადავაქციოთ დიდი გამარჯვების წლად, ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების წლად!

ამას გვავალებს ის დიდი შეფასება, რომელიც ჩვენმა რესპუბლიკამ მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისისა და ნოემბრის პლენუმებზე. მე, მევენახე აგრონომს, რომელსაც ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი ვაზის სიყვარული, გამახარა იმ გულთბილმა სიტყვებმა, რომელიც ამას წინათ თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ადამიანებისათვის სამშობლოს მაღალი ჯილდოების გადაცემისას. მახარებს, იმიტომ, რომ იმ სიტყვებში, მაღალ შეფასებაში მე ქართველი კაცის ბუნება დავინახე. მართლაც, რომ ჩვენი ხალხი ენერგიული და გაბედულია. ამაზე ნათლად მეტყველებს უკანასკნელი წლების წარმატებები. სწორედ ენერგიულმა და გაბედულმა შრომამ დაგვაძლევინა ის ჩავარდნები და ნაკლოვანებები, რომლებიც ახლო წარსულში იყო ჩვენს რესპუბლიკაში. მახარებს, რომ სიძნელეებს ასე გაბედულად ვძლევთ და წინ მივდივართ!

ხუთწლედის მეოთხე წლის, ჩვენი ქვეყნის შემდგომი აღმშენებლობის წლის დადგომას გილოცავთ, მეგობრებო! კვლავაც ენერგიულად და გაბედულად ვიბრძოლოთ, მოვიპოვოთ ახალი წარმატებები! გისურვებთ გამარჯვებას საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში! კვლავაც სიუხვე დაგვებედოს, მეგობრებო!

**ქ. ბურდიაშვილი,**

**გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის კოლმეურნეობის მევენახე აგრონომი, ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.**

მეცნიერის გონებით

# დიდი აღმაფრენა

მოვიდა ახალი წელი, X ხუთწლედის მეოთხე წელი. საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სიხარულით, იმედით, ახალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ეგებებიან მას. ხვდებიან ნათელი მიზნით—იშრომონ ისე, როგორც ამას მოგვიწოდებს ყველა პატიოსანი მშრომელისათვის მშობლიური ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი თავის ისტორიულ გამოსვლაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე.

ამ დიდ დოკუმენტთან ერთად რესპუბლიკის მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ, სახალხო ინტელიგენციამ შრომისა და შემოქმედების დიდად შთამაგონებელი პროგრამა მიიღეს ახალი წლისა და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა სახითაც. ამ პლენუმის მაღალი ტრიბუნიდან ჩვენ, მეცნიერებმაც, სამეცნიერო ორგანიზაციათა მუშაკებმაც მივიღეთ ღრმაშინაარსიანი, გაანალიზებული მითითებანი მეცნიერული და პრაქტიკული მოქმედებისათვის, მეცნიერების განვითარებისა და წარმოებაში მეცნიერული მიღწევების დანერგვის პრობლემათა გადაწყვეტისათვის.

ისევე როგორც გასული, ასევე ახალი წლის ეკონომიკურ წარმატებათა მიღწევაში, მთლიანად ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში უდიდესი როლი ჰქონდა და ექნება მიკუთვნებული მეცნიერებას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. ქვეყნის სამეურნეო საქმიანობაზე რომ ლაპარაკობდა, ლ. ი. ბრეჟნევი მიუთითებდა, „ეფექტიანობის კურსის აღება განუყოფელიაო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისაგან". მაშასადამე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასაც დიდ მოთხოვნებს უყენებს ცხოვრება. ეს ჩვენს აკადემიას, მის სამეცნიერო დაწესებულებებს, მეცნიერთა მრავალათასიან კოლექტივს ღრმად აქვთ შეგნებული და მუშაობასაც ამ მიმართულებით წარმართავენ.

ამ უკანასკნელ ხანს, კერძოდ, 1978 წელს აკადემიის ინსტიტუტების თანამშრომლებმა შეასრულეს მთელი რიგი საყურადღებო შრომები, რომლებიც აღნიშნულია მაღალი პრემიებით. ამ შრომებიდან ბევრი რეკომენდებულია სახალხო მეურნეობაში დასანერგად. ამის შედეგად მოსალოდნელია მილიონობით მანეთის ეკონომია. ეს ყველაფერი იმედს გვინერგავს; მეცნიერებათა აკადემია იმის შემძლეა, რომ კვლავაც აამაღლოს თავისი მოღვაწეობის ეფექტიანობა და შესაბამისად გაზარდოს მოთხოვნა როგორც ფუნდამენტალურ, ასევე გამოყენებითს კვლევებში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამოცანათა გადაწყვეტაში მიმდინარე ხუთწლედში კარგ შედეგებს აღწევენ სხვებს შორის მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკისა და მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის ამაღლებას, როგორც სოფლის მეურნეობის აღმავლობის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს. ჩვენი ფიზიკური და ორგანული ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ამუშავებს სოფლის მეურნეობაში ცეოლითების გამოყენების პრობლემებს; სხვა ინსტიტუტებში გრძელდება კვლევა ვენახებისა და ციტრუსის ბაღების ყინვაგამძლეობის ასამაღლებლად. ბიოქიმიის ინსტიტუტში შექმნილია მცენარეთა ლაბორატორია, რომლის კვლევის თემატიკასაც განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის მეცნიერული პრობლემები.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ბიოლოგიური საფუძვლების ლაბორატორიაში გათვალისწინებულია გაძლიერდეს კვლევა მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის მეცნიერული საფუძვლების დასამუშავებლად.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ამასწინანდელ საერთო კრებაზე, რომელიც მთლიანად სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის მეცნიერული საფუძვლების განვითარების საკითხებს იხილავდა, აკადემიკოს ი. ა. ოვჩინიკოვის მთავარ, მიმოხილვით მოხსენებაში დადებითად და პერსპექტულად იყო მოხსენიებული ჩვენი მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის მუშაობა ქსენობიოტიკების ბიოქიმიაში და სხვა პრობლემებზე, აგრეთვე ჩვენივე ზოოლოგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტები ზებუს ჰიბრიდებზე.

საერთო კრებამ დიდი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია და, ჩემი აზრით, დიდი სარგებლობაც მოიტანა. მან კიდევ უფრო დაგვარწმუნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი თანამედროვე მსოფლიოსათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამაღლების მეცნიერული საფუძვლების განვითარებას, საკუთრივ, ბიოლოგიური საფუძვლების, მოლეკულური ბიოლოგიის, გენეტიკის, სელექციის განვითარებას. გვიჩვენა, რაოდენ დროული და აქტუალური იყო ამ პრობლემების ასე პრინციპული აღძვრა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ. საერთო კრებაზე მოხსენებებსა და გამოსვლებში მოყვანილმა სტატისტიკამ გვიჩვენა, რაოდენ მწვავედ დგას ეს პრობლემა, მაგრამ ამასთანავე გვიჩვენა, რა დიდია ჯერ გამოუყენებელი, მაგრამ ადამიანისათვის გამოსადეგი მიწის რესურსები, თუ ჯეროვნად მოვიმარჯვეთ ამისთვის მეცნიერული საფუძვლები.

ბიოლოგიის მიღწევებს შეუძლია მართლაც რომ რევოლუცია მოახდინოს სოფლის მეურნეობაში, მაგრამ საჭიროა განვავითაროთ კვლევა ნიადაგის ქიმიზაციის დარგში, ვეძებოთ პესტიციდების ტოქსიკურობის შემცირების საშუალებები, განვავითაროთ კვლევა მცენარეთა ფიზიოლოგიის დარგში, მეცხოველეობის ინტერესებისათვის ემბრიონების ჰორმონული დამუშავებისა და სხვა სფეროებში, რომლებშიც, უდავოდ, ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებასაც შეუძლია შეიტანოს წვლილი.

იმის გამო, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომელიც სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგს მოიცავს, დიდ როლს ასრულებს საწარმოო ძალების გარდაქმნაში, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს განზრახული აქვს შეიმუშავოს ისეთი ეკონომიკური ღონისძიებების სისტემა, რომლებიც ხელს შეუწყობს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას.

რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტები თავიანთ 1979 წლის გეგმებში მთლიანად ითვალისწინებენ ლ. ი. ბრეჟნევის შენიშვნებსა და მითითებებს, რომლებიც მან გამოთქვა იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე.

დასახულ ღონისძიებათა ეფექტიანი რეალიზაცია საერთოდ დამოკიდებულია მუშაობის ორგანიზაციის, მისი მართვის ხარისხზე. ეს აშკარაა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა შეიცავს დასკვნებსა და მითითებებს, რომლებსაც ღრმად უნდა ჩავწვდეთ, პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ გავიხადოთ, რადგან ისინი კვლავ და კვლავ გვასწავლიან რა საშუალებებით შეიძლება მივაღწიოთ საუკეთესო შედეგებს სამეურნეო, ორგანიზატორულ, საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმიანობაში. ისინი შეგვახსენებენ, რომ შეუწყნარებელია პერსონალური პასუხისმგებლობის შესუსტება გეგმების შესრულებისათვის და გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ბევრ კარგ რჩევას ვნახულობთ დიდაქტიკურ ნაწარმოებ „ყამირში", რომელიც გამსჭვალულია ბრძნული ჰუმანიზმის სულისკვეთებით და დარწმუნების უდიდესი ძალა აქვს.

ჩვენ ყველამ, ყველა თაობამ, ყოველი სფეროს მუშაკებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, ვისწავლოთ შრომის ორგანიზაციების მეთოდები და სამუშაოთა მართვა, დღენიადაგ უნდა გვახსოვდეს ჩვენი მაღალი პასუხისმგებლობა პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე, ეპოქის წინაშე, თუ გნებავთ, მომავალ თაობათა წინაშეც.

ჩვენთვის — მუშაკებისათვის, რომლებსაც მეტ-ნაკლები ფუნქციები გვაკისრია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის დიდად ზრუნავს, გვეხმარება და გვენდობა სკკპ ცენტრალური კომიტეტი, პირადად ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რისთვისაც გულწრფელად მადლიერნი ვართ. ამ წლების მანძილზე ასეთი დახმარებისა და ნდობის ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება და ყველაზე დიდი საბუთი ამისა ის გახლავთ, რომ პარტიისა და სახელმწიფოს უმაღლესი ხელმძღვანელობის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობაში შეყვანილია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. საქართველოს მეცნიერები, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელი, ერთსულოვანნი არიან ამ ფაქტის შეფასებაში.

ეს ჩვენ გვამხნევებს, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ რესპუბლიკის წვლილი მთელი საბჭოეთის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომ აღმავლობაში საგრძნობია, და შეიძლება იყოს და კიდევაც უნდა იყოს უფრო მნიშვნელოვანი. და ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ჭეშმარიტად სწორი პოზიცია უჭირავს, როცა შეუნელებლად ებრძვის საზოგადოებაში ნეგატიურ მოვლენებს, როცა იბრძვის მშრომელთა შემოქმედებითი აქტიურობის ყოველნაირი გადიდებისათვის, მაგრამ ამასთანავე ყოველივე ეს გვავალებს უფრო ღრმად შევიგნოთ ჩვენი პასუხისმგებლობა და თავდადებით ვიბრძოლოთ პარტიის გადაწყვეტილებებისა და საბჭოეთის სახელმწიფო გეგმების უთუო და შემოქმედებითი შესრულებისათვის. გვჯერა, ეს ნათელი გახდება, ეს განხორციელებული იქნება ახალ, 1979 წელს.

**ევგენი ხარაძე,**

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.**

# მე მინდა ჩემი სამშობლო უფრო ლამაზი იყოს

მოქალაქეობრივი გულმხურვალებით

ისეთი ყოველმხრივ მარმონიული რესპუბლიკა, როგორიც ჩვენი სამშობლო საქართველოა, მეორე არ მეგულება. იგი დამშვენებულია მთით, [illegible], [illegible]ითა და ბარით, წყლითა და მიწით. ჩვენს მხარეში შეიძლება ნახოთ მრავალი მცენარე, მოაშენო მრავალი ცხოველი. ჩვენი მხარე მდიდარია ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხალხით. ოც საუკუნეზე მეტია ქართველი ხალხი მოიბრძვის და მოდის შორეული საუკუნეებიდან. მარტო მხატვრული თქმა კი არ არის, „ქართველ კაცს ცალ ხელში გუთანი ეჭირა და ცალში ხმალიო", ფაქტიურად იყო ასე. შემოესეოდა მტერი, აოხრებდა ქვეყანას, გაჩეხავდა ბაღ-ვენახს, მაგრამ საკმარისი იყო ერთი ამოსუნთქვა და კერაზე კვლავ ენთო ცეცხლი, ვენახში კვლავ ღვიოდა მწიფე ყურძენი, მთებს შეეფინებოდა ცხვარ-ძროხა, შენდებოდა დანგრეული სახლი, შენდებოდა სოფელი და ქალაქი...

მაშ დღეს რაღა დაგვემართა, რომ ზოგჯერ სასაყვედუროთა გვაქვს საქმე?

ან როგორ არ უნდა გვისაყვედურონ, რომ ჩვენს მუშაობას მრავალი ხარვეზი აქვს. გვაქვს თანხები ბინათმშენებლობისათვის — ვერ ვითვისებთ. ფრიადი შეფასებით შარშან მხოლოდ 0,8 პროცენტი ავაშენეთ. მერე სად? იმ ქვეყანაში, სადაც აგებულია ჯვარი და სვეტიცხოველი, გელათი და სამთავისი!

სათანადოდ ვერ ვებრძვით ყველგან ნეგატიურ მოვლენებს. ეს თვისება თუ ერთხელ გაჯდა ძვალ-რბილში, ძნელადღა მოვიშორებთ. ჩვენ ხომ გვინდა ყოველმხრივ ლამაზი სამშობლო გვქონდეს, ლადო ასათიანისა არ იყოს: „ხომ ლამაზია ჩემი სამშობლო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა", და უშრომლად კი ეს არ გაკეთდება. არც შეგვფერის, რომ დღევანდელი გუშინდელს არ ჯობდეს და ხვალინდელი დღევანდელს.

სამშობლო პირველ რიგში ხალხია და არა მარტო მთა-ბარი, თუ დღეს ძირფესვიანად არ აღმოვფხვრით ნეგატიური მოვლენები, რას ან ვის გადავცემთ ხვალინდელ დღეს? რას ემგვანება მაშინ ჩვენი ქვეყანა?

ჩვენ ყველაფერი გვაქვს იმისათვის, რომ დოვლათი და ბარაქა დუღდეს და გადმოდუღდეს, რომ ჩვენი მხარე უფრო ლამაზი იყოს, რომ ვიყოთ მოწინავენი მოწინავეთა შორის, ამისათვის კი საჭიროა შრომა, გონივრული შრომა და საკუთარი ქვეყნის სიყვარული.

მოვიდა ახალი გამარჯვებებისა და სიხარულის მომტანი ახალი წელი; მის მობრძანებას მივულოცავ ჩვენს ქვეყანას, მის მშრომელ ადამიანებს. ჩვენ გვინდა, რომ უფრო ძლიერი, უფრო მშვენიერი იყოს ჩვენი ქვეყანა, ამისათვის საჭიროა არა მარტო სიყვარული მშობლიური ქვეყნისა, არამედ აგრეთვე მეტი გარჯა ამ ქვეყნისათვის.

მრავალ ახალ წელს!

**ნიკო კეცხოველი.**

1. იანვარი კუბის განთავისუფლების დღეა


ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, 1 იანვარს სრულდება კუბის რევოლუციის მე-20 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მისალმება გაუგზავნეს კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ფიდელ კასტრო რუსს.

**სურათზე:** კუბის დედაქალაქი ჰავანა. განვლილი ოცი წლის მანძილზე ქალაქი რესპუბლიკის მსხვილ სამრეწველო, სამეცნიერო და კულტურულ ცენტრად გადაიქცა.

მტი-საქტასის ფოტო.

ირანის ამბები

# გაამწვავებული შეტაკებები

**ვაშინგტონი,** 29 დეკემბერი. (საქტასი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მ. კარტერმა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ არ ეთანხმება საბჭოთა პრესის ინფორმაციებს, რომლებშიც ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს ირანის პოლიტიკური მდგომარეობის განვითარებაზე, რომელშიც არნახული მასშტაბის მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები მიმდინარეობს. ამასთან მას არ დაუსახელებია არავითარი ფაქტები, რომლებსაც შეუძლიათ გააბათილონ ამგვარი ინფორმაციები, და თავი აარიდა ჟურნალისტთა კითხვაზე პასუხის გაცემას ირანში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საქმიანობის შესახებ.

ამ დროს ამერიკის პრესას მოჰყავს ახალი მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, რომ ვაშინგტონის ადმინისტრაციას ირანის ამბებში ჩარევის საშიში გეგმები აქვს.

**ნიუ-იორკი,** 29 დეკემბერი. (საქტასი). საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ დღეს დილიდან თეირანში კვლავ დაიწყო მასობრივი მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები. ქალაქის სასაფლაოს რაიონში, ვაგზალსა და ცენტრალურ ბაზართან მოხდა მანიფესტანტებისა და ჯარების შეტაკება.

კომენდანტის საათის მიუხედავად, მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები ირანის დედაქალაქში შუაღამემდე არ შეწყვეტილა. ქალაქის ბევრ ნაწილში გაისმოდა ინტენსიური სროლის ხმა.

გაამწვავებული შეტაკებანი მოხდა აგრეთვე სენენდეჯში, აბადანში, რეშტში, ქერმანშაჰში, ჰორემაბაში, შირაზსა და სხვა ქალაქებში. შირაზში დემონსტრანტებმა ცეცხლი წაუკიდეს „ამერიკა — ირანის კულტურული ცენტრის" შენობას.

პოლიტიკურმა გაფიცვებმა შეაჩერა ბევრი სამინისტროს, საბაჟო და საფოსტო სამსახურების, საერთაშორისო სატელეფონო კვანძის, ცენტრალური გაზეთების საქმიანობა. ბანკებმა შეწყვიტეს ან მკვეთრად შეზღუდეს ფულის გაცემა. დეკემბერში ზოგიერთი სახეობის სურსათი თეირანში ერთისამად გაძვირდა.

შაჰის ცდები — ქვეყანა გამოიყვანოს კრიზისიდან პოლიტიკური მანევრების გზით, კერძოდ, „სამოქალაქო მთავრობის" შექმნის საშუალებით, ჯერჯერობით უშედეგოა. როგორც ასოშიეტედ პრესი იუწყება, გ.-ჰ. სადეგიმ — პრემიერ მინისტრის პოსტის კანდიდატმა — უარი თქვა მთავრობის შექმნაზე.

დღეს ოპოზიციის თვალსაჩინო მოღვაწემ შაპურ ბახტიარმა განაცხადა, რომ შაჰმა სთხოვა შეექმნა სამოქალაქო მთავრობა. მაგრამ, ბახტიარმა ხაზი გაუსვა, რომ სანამ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას მიიღებდეს შაჰის წინადადების გამო, იგი კონსულტაციებს გამართავს ოპოზიციური ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელებთან.

# ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობა

**ჰანოი.** 31 დეკემბერი. (საქტასი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, კამპუჩიის ჯარების სამი პოლკი, რომლებიც 23 დეკემბერს შეიჭრნენ ვიეტნამის ტერიტორიის ტეინინის პროვინციაში, ვიეტნამის ეროვნული არმიისა და თავდაცვის რაზმების მტკიცე მოქმედების შედეგად განადგურებულია. ალყაში მოქცეული დაჯგუფებების ხსნისათვის მოწინააღმდეგის მიერ გამოყვანილმა ჯავშანსატანკო ნაწილებმა დიდი ზარალი განიცადეს და იძულებული გახდნენ თავიანთ ტერიტორიაზე დაეხიათ. საბრძოლო მოქმედების დროს, იუწყება სააგენტო, ვიეტნამელებმა ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი, ტყვეები, გაანადგურეს 9 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორები.

## საბჭოთა მეზღვაურების დახმარება

**რომი,** 31 დეკემბერი. (საქტასი). მამაცობა და სიმტკიცე გამოიჩინეს საბჭოთა მეზღვაურებმა ესპანეთის სატვირთო გემის ეკიპაჟის გადარჩენის დროს, რომელიც იტალიის მარინა-დი-კარარის ნავსადგურში შესვლისას ჩაიძირა.

გემი გადმოტვირთვის მოლოდინში იყო, როცა მოულოდნელად ამოვარდნილმა შტორმმა იგი გადააბრუნა.

მასთან სასწრაფოდ მივიდნენ საბჭოთა სავაჭრო გემის „დიადი თაოსნობის" მეზღვაურები და ძნელ პირობებში მაშველი კანჯოებით ესპანეთის ხომალდის თითქმის მთელი ეკიპაჟი გამოიყვანეს.

# საერთაშორისო ცხოვრება

# მრავალ ახალ წელს!





დღეს მილიონობით ოჯახში, საახალწლო მაგიდასთან, ბედნიერი საბჭოთა ადამიანები, ახალ, 1979 წელთან ერთად გასულ, 1978 წელსაც ადღეგრძელებენ და მადლიერების გრძნობით გააცილებენ მას. და მართლაც, რამდენი ღირსშესანიშნავი მოვლენით იყო აღსავსე 1978, რამდენ სიახლეს, მიღწევას და გამარჯვებას შთაბერა მან სული.

ბედნიერი იყო იგი თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის მოწინავე მუშა-ამლესავის შალვა მხატვრის ოჯახისთვისაც, რომელიც ახალ წლის დადგომას ახალ, კეთილმოწყობილ ბინაში ზეიმობს (სურათებზე ზევით).

შეიძლება ითქვას რომ ნორჩი მოჭადრაკის, მაია ჩიბურდანიძის ცხოვრებაში გასული 1978 წელი ყველაზე ღირსსახსოვარი და ფებბედნიერი იყო. იგი ჯერ საბჭოთა კავშირის დიდოსტატი გახდა, შემდეგ კი ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი და ბუენოს აირესის მსოფლიო ოლიმპიადის გამარჯვებული.

ჟურნალისტებმა იგი საბჭოთა კავშირის 1978 წლის 10 უძლიერეს სპორტსმენს შორის დაასახელეს, ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში ასეთივე გამოკითხვის შედეგად პირველობა მიანიჭეს (სურათებზე, ქვევით).

ს. კილაძის („კომუნისტი") და ი. ჭოხონელიძის (საქინფორმი) ფოტო.

რაც კარგია!

# მხოლოდ მისამართს იცვლის

საახალწლო მხიარულებაში ჩვენ უბრალოდ ვერ ვამჩნევთ ან იქნებ არც ვამჩნევთ, რომ მოკაზმულ-განათებული ნაძვისხე განწირულია და ამ ქვეყნიდან მიმავალს უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვენთან ერთად მოზეიმეს. სულ მალე მას, მოჭრილს, მაცოცხლებელ ფესვსა და მიწას მოკლებულ-მოცილებულს გადააგდებენ, ან უკეთეს შემთხვევაში ცეცხლს მისცემენ.

მაგრამ განა ყველგან ასეა! აქ, თეატრის დარბაზში ნაძვი თავის სამფლობელოდან ფესვიანად, საკუთარ მიწიანად მოაქვთ, საახალწლოდ კაზმავენ და ნაცნობ-უცნობს ეპატიჟებიან. ნაცნობ-უცნობს ყასიდად როდი ვახსენებთ, პირდაპირი გაგებით ვამბობთ: თეატრის წინ, საღამო ხანს, ყოველი წლის ორ იანვარს გამვლელსა თუ მოსეირნეს თეატრში შემობრძანებას სთხოვენ და ამ ერთხელ მოზეიმე მასპინძლის როლსაც უნაწილებენ — სტუმარო, ილაღე, მოილხინეო. ზეიმის შემდეგ კი მსახიობებს ნაძვისხე თეატრის ბაღში გააქვთ, რგავენ და ახარებენ.

ამ ლამაზი ამბის მისამართიღა დაგვრჩა სათქმელი: თბილისი, პლეხანოვის გამზირი, მინიატურების სახელმწიფო თეატრი.

— ჩვენს ბაღში ხეთა რიგს, — ამბობს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თენგიზ ჩანტლაძე, — წლეულს კიდევ ერთი ნაძვი შეემატება, ბუნების ამ მშვენიერ ქმნილებას, ჩვენ მხოლოდ მისამართს ვუცვლით.

ზურაბ რცხილაძე.

„კომუნისტის" ინტერვიუ

# მობურთალსა მოედანი...

## გვესაუბრება ჩვენი ქვეყნის 1978 წლის საუკეთესო ფეხბურთელი

იგი მხატვრული ლიტერატურითაც არის გატაცებული და თანამედროვე მუსიკითაც. მათში სულიერ სიმშვიდეს, ხშირად კი მდიდარი წარმოსახვის საზრდოს ეძიებს.

კი მაგრამ, ფეხბურთი?

ფეხბურთი სულ სხვაა. იგი არა მარტო ყველაზე დიდი შთაგონებისა და აღმაფრენის წყაროა მისთვის, არამედ იდეების ხორცშესხმის, საკუთარი თავის შეცნობისა და დამკვიდრების ასპარეზიც გახლავთ. და იგი ამას არა მარტო მწვანე მინდორზე, პირად საუბარშიც ამტკიცებს. როდესაც უსმენ, არც კი გინდა დაიჯერო, რომ შენს წინ ოცდაერთი წლის ჭაბუკი დგას; დიდ სპორტში სვეგატანილი კაცი წარმოგიდგება თვალწინ.

სასიამოვნო დეტალია. ახლა ხომ ფეხბურთს მოაზროვნე, ჭკვიანი ბიჭები თამაშობენ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი თბილისის „დინამო" ინტელექტუალთა გუნდია.

თვით რამაზ შენგელიასაც ჩვენი გაზეთის ამ საახალწლო ნომრის სტუმარს, გადაწყვეტილი აქვს, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე განაგრძოს სწავლა. დღეს კი ამ ოცდაერთი წლის ჭაბუკს უკვე ორი „დიპლომი" აქვს. იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქრომედალოსანი და ჩვენი ქვეყნის 1978 წლის საუკეთესო ფეხბურთელია.

ახალგაზრდა თავდამსხმელის ასეთი აღიარება ორმაგად სასიხარულოა: უკვე მეორე წელია საბჭოთა ჟურნალისტები ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ფეხბურთელად თბილისის „დინამოს" მოთამაშეს ასახელებენ (შარშან ყოველკვირეულ „ფუტბოლ-ხოკეის" ანკეტით ეს პრიზი დავით ყიფიანს გადაეცა).

— რას იტყვით იმის თაობაზე, რომ ასეთი პატივი გხვდათ წილად? — ვკითხეთ 1978 წლის საუკეთესო ფეხბურთელს.

— ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ფეხბურთის სეზონის მიწურულს, სხვათაშორის, დამებადა ეს „სასიამოვნო ეჭვი". ამის საფუძველს მაძლევდა სეზონის პირველი და უკანასკნელი ორი თვის შემდეგ გაზეთ „ტრუდის" მიერ დასახელებული ჩემი კანდიდატურა. მაგრამ, ვიმეორებ, მხოლოდ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელობის იმედი მქონდა. პირველობაზე უფრო მოკრძალებით ვოცნებობდი.

— რა იყო ამ მოკრძალების მიზეზი?

— ჯერ ერთი, ის, რომ მხოლოდ ოცდაერთი წლისა ვარ და, როგორც იტყვიან, მთელი ცხოვრება წინა მაქვს. მეორეც, ჩემი აზრით, ეს ჯილდო ალბათ ჩვენი გუნდის კაპიტანს ეკუთვნოდა. ყოველ შემთხვევაში, მე სწორედ მას დავასახელებდი ნომერ პირველ ფეხბურთელად. რატომ? მანუჩარმა მთელი ჩემპიონატი ძლიერად, თანაბრად და მაღალ პროფესიულ დონეზე ჩაატარა. მას უთუოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის გუნდის ჩემპიონობაში. მაჩაიძის ოსტატობას კომენტარი არ სჭირდება.

— ოცდაერთი წლის ასაკში ადამიანს იშვიათად სთხოვენ „მემუარებს", მაგრამ ასეთ კითხვას მაინც ვერ აგაცილებთ: რა შეგიძლიათ გაიხსენოთ ბავშვობისდროინდელი დღეებიდან, როცა პირველად მოხვედით ფეხბურთში?

— როგორც ყველამ, ფეხბურთის თამაში მეც ეზოში დავიწყე. თუმცა იმთავითვე გამოკვეთილი ამპლუა მქონდა — ყოველთვის წინ ვთამაშობდი.

— მწვრთნელი და მოთამაშე... მათი ურთიერთდამოკიდებულება ფეხბურთში ტრადიციულად და საყოველთაოდ მეტად რთული და ამავე დროს საკვანძო მომენტია. თქვენი აზრით, როგორია მწვრთნელის როლი ფეხბურთელის ჩამოყალიბებაში და მის საბოლოო ნათლობაში?

— ბავშვისათვის მწვრთნელი, უპირველეს ყოვლისა, აღმზრდელი და პედაგოგი უნდა იყოს, მოწიფულისათვის — განმანათლებელი. მე დღემდე სამი მწვრთნელის უშუალო ხელმძღვანელობის მაგალითი მაქვს და უნდა აღვნიშნო, რომ აღზრდა-განათლების პერიოდში ჩინებული პედაგოგები დამხვდა. პირველმა მწვრთნელმა კარლო ხურციძემ, რომელსაც ფეხბურთელის ნიჭის ამოცნობის საოცარი უნარი აქვს, შთამაგონა, შენი ნამდვილი ადგილი მეტოქის კარის მისადგომებია, ხოლო უპირველესი კოზირი და მოვალეობა — ბურთის გატანაო.

„ტორპედოს" სათადარიგო და ძირითად შემადგენლობაში ანატოლი ნორაკიძე ისე შემხვდა, როგორც შვილს. ნაკლზე კი მიმითითებდა, მაგრამ არ მტუქსავდა. ამ მწვრთნელსაც თავისებური პრინციპი აქვს: რაკი ფეხბურთელში მონაცემებს აღმოაჩენს, მას არასგზით შეეშვება და გამოცდისათვის საკმაო დროს მისცემს. ამიტომ საკუთარ შეცდომებს უფრო თვალნათლივ ვხედავდი და ვცდილობდი, რაც შეიძლება უკეთ მეთამაშა. ასე ვუმატებდი ნელ-ნელა.

და აი, ახლა ახალკაცი...

იგი სხვა ყაიდის მწვრთნელია, სწორედ ისეთი, განმანათლებელი რომ ვუწოდე. თავიდან ერთ-ორ შეცდომას გაპატიებს, მაგრამ თუ ასე ცოტა ხანს კიდევ გაგრძელდა, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე ფიქრი გარკვეული დროით უნდა გადადო. ჩემდა საბედნიეროდ, მივხვდი რომ იგი მართალია. თბილისის „დინამოს" ძირითადი შემადგენლობა ის ლაბორატორია როდია, ნებისმიერ ექსპერიმენტს რომ აიტანს. ამისათვის მას სათადარიგო შემადგენლობა ჰყავს. სხვაგვარად არც შეიძლება — შეცდომების პატიებაში ქულებს დაკარგავ, გამარჯვებულებს კი შემოდგომით სწორედ ქულათა რაოდენობით ითვლიან.

დიდი კოლექტივის ხელმძღვანელობა საასახელო კი არის, მაგრამ მეტად ძნელია, რადგან, მაღალ შედეგებზე თუ ფიქრობ, კოლექტივში ყველაფერი თავის ადგილზე უნდა დააყენო და ყველას თავის ფუნქცია დააკისრო. ახალკაცს აქვს ამის უნარი და დღეს სპეციალისტებიც იმიტომ აღიარებენ, რომ კიევის „დინამოსაგან" განსხვავებით თბილისელთა გუნდში მოთამაშეებს ნათლად გამოკვეთილი ამპლუა აქვთ.

„დინამოში" მოსვლის პირველ წელს მწვრთნელმა მიმახვედრა, რომ „ქუთაისური ბაგაჟი" არ მეყოფოდა და მეტი მუშაობა მმართებდა.

— როგორ მიგიღოთ თავიდან გუნდმა?

— მე უკვეთაც აღვნიშნე, რომ თბილისის „დინამო" მაღალი კლასის გუნდია. იგი არათუ პირველი, უმაღლესი ლიგის კოლექტივებიდანაც გამოიყოფა ამ თვისებით. „ტორპედოში" პერსპექტიულ ბიჭებად გვთვლიდნენ და იქ რომანტიზმისა და ენთუზიაზმის ხარჯზე უფრო ვიგებდით მატჩებს. „დინამოში" მოსვლისთანავე



მე და თამაზ კოსტავა დავრწმუნდით, რომ არათუ დიდ ქალაქში, დიდ გუნდში ვიყავით მოხვედრილნი. პირველსავე ვარჯიშებში დავინახე, რომ „დინამოს" მცველები სხვაგვარად, უფრო საზრიანად თამაშობდნენ, ხოლო თავდამსხმელები გაცილებით ტექნიკური და „ეშმაკები" იყვნენ. ერთი სიტყვით, „ქუთაისური ბაგაჟი" მართლაც არ კმაროდა. მაგრამ „აკლიმატიზაცია" თვით გუნდის წევრების დახმარებით იოლად გადავიტანე, პირად ურთიერთობას რომ თავი დავანებოთ, მათგან დიდი ოსტატობისათვის საჭირო მრავალი თვისების შეძენა შეიძლებოდა.

ახლა შემიძლია თამამად ვთქვა, რომ თუ ასეთი აღიარება მოვიპოვე სწორედ მათი დამსახურებაა. და არა მარტო იმიტომ, რომ ბევრი რამე ვისწავლე მათგან, იმიტომაც, რომ მათი ხელშეწყობა მქონდა.

— ვისთან გიადვილდებათ ყველაზე მეტად თამაში?

— რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას კარგად გვესმის ერთმანეთის, მაგრამ, ვფიქრობ, ერთ რიტმში მე და დარასელია ვკითხულობთ თამაშს.

— ვინ იყვნენ თქვენი იდეალები ფეხბურთში?

— საბჭოთა ფეხბურთელებიდან სლავა მეტრეველი, უცხოელებიდან გერდ მიულერი.

— რომელ ფეხბურთს ანიჭებთ უპირატესობას?

— ჰოლანდიურს: იგი რაციონალური და კომბინაციურია.

— რას ისურვებდით ახალ, 1979 წელს?

— ისევ და ისევ „დინამოს" ჩემპიონობას და მის წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენ გუნდს დღეს ევროპაშიც შეუძლია საგულისხმო წარმატებების მოპოვება.

პირადად მე დღეიდან უკეთესი თამაში მომეთხოვება და ვისურვებდი გულშემატკივართა ყველა იმედი გამემართლებინოს.

ვისურვებ, რომ ახალი წელი ბედნიერი იყოს ყველა კეთილმოსურნე ადამიანისათვის, განსაკუთრებით კი იმათთვის, ვისაც შრომა არ ეზარება.

— „კომუნისტის" მკითხველთა სახელით ახალ წარმატებებს გისურვებთ პირადად თქვენ და მთელ თქვენს გუნდს.

— გმადლობთ!

გ. ქოქიბშვილი.

მოთხრობა

# უშიშარი ბიჭი იოსება

რევაზ ინანიშვილი

იყო ჩვენს უბანში, ორმოცი წლის წინათ, ერთი „ქვეყნის ამომგდები" ბიჭი — ლაჭუნა იოსება, მეღორე გარიელას შვილი. წაიყვანდა ამ ლაჭუნა იოსებას მამამისი ტყეში და ხანდახან მთელ კვირას იქ ჰყავდა. ჩამოვიდოდა მერე იოსება და დადიოდა მედიდურად გამლილი ბაირალივით. ჯიბეები მოხალული წიწიბოთი ჰქონდა სავსე, ერთ მუჭა წიწიბოში ერთ ნაზუქს ანდა ორ ჩურჩხელას გვართმევდა, თან ის ნაზუქი და ჩურჩხელები რბილიც უნდა ყოფილიყო და ტკბილიც. დაჯდებოდა ნახურებ თონეზე საღამოთი, შემოგვისხამდა მხოლოდ იმათ, ვინც ფეშქარს მიუტანდა, ვაშლს, გულაბს ჩირს — და გვიყვებოდა ტყის ამბებს.

საოცარი იყო, თავზარდამცემი იყო მის მიერ დავლილი ტყეები... თურმე, ღამ-ღამობით, ქარში, ტაშუნის ველზე მოფრინდებოდნენ ცოცხებზე მსხდარი გრძელკანჭა კუდიანი ქალები, ჩაებმდნენ წრეს და იყო ერთი ბუქნა და ტაშისცემა, — ცაში დააფრიალებდნენ საკუთარ საცვლებს. მაგრამ ყველაზე საოცარი და შიშის ზარდამცემი მომგვრელი მაინც თევდორეს ჩიტები იყვნენ — საქონელი რომ დაკარგეს პატარა და-ძმამ, შინ რომ ველარ დაბრუნდნენ დედინაცვლის შიშით და ტყის ღმერთმა ჩიტებად აქცია. ცხოვრობენ ახლა ხის ფუღუროებში, მტრედზე ცოტა დიდები, სანახევროდ ტიტვლები, თახთახებენ შიშისა და სიცივისაგან და დროგამოშვებით, კანკალით გასძახიან ერთმანეთს: „თევდორე, იპოვნე?" ვერა, ვერა!", „თევდორე იპოვნე?" „ვერა, ვერაო", — ამოუჯდებათ გული და აქვითქვითდებიან პირქვეჩამხობილი ყმაწვილებივით. თან თვალები ჰქონიათ, — იოსებას თვითონა ჰყავდა ნანახი, — „ჩვენ პატარა გოგოს რო აქ", სუ საცოდავი ცრემლებით სავსე! ეს ამბავი დიდად გვასევდიანებდა და ისეთ ბუნებაზე გვაყენებდა, გვინდოდა ერთმანეთს უხმოდ მოვეფერებოდით. მარტო იოსებას არ ეტყობოდა ჩვენნაირი მორბილება. — ვაი, ვაიო! — ასტეხდა უცებ, მიგვყრიდა აქეთ-იქით და, თონეში წაყირავდებოდა, თითქოს ძვირფასი რამე ჩაუვარდა და იმას ეძებსო. ჩვენც, რაღა თქმა უნდა, იმ წამსვე ჩავემხობოდით, მაშინ ის დაგვცხობდა და დაგვცხობდა, თან თვითონვე ყვიროდა, რომელი ხარ, რომელი იცემები, შენი ახე და ისეო.

მოვიდოდა თოვლი და კიდევ ერთხელ გაიბებლვებოდა და გადიდკაცდებოდა იოსება. ჩვენ რომ თბილად ჩავიფუთნებოდით, ის დაგლეჯილ ქალამნებში წაჰყოფდა შიშველ ფეხებს, ვითომც არაფერიო, ისე გამოვიდოდა თავიანთ ბანიანი სახლიდან, დაიჭერდა მჭადის ნატეხს, დაჯდებოდა გზის პირას, ქვაზე, თან ცოტ-ცოტას ციცქნიდა იმ მჭადის ნატეხს და თან მღეროდა:

მჭადი გამზარდელაა,
პური — მამკაველა,
მჭადი გამქცეველაა,
პური — დამხლართველა...

გავუტანდით ამ „გამზრდელა მჭადში" წმინდა, გამტკიცულ პურს და გავუცვლიდით, — ერთ წილ მჭადში ორი წილი პური უნდა მიგვეცა. დადებდა მჭადს პურზე, გადაზომავდა გულხალვათად, კიდევ თავის სასარგებლოდ, გადატეხითაც თვითონ გადატეხავდა და მერე იჯდა და გემრიელად ილუკმებოდა, მჭადს კიდევ ვითომც ყველივით მიაციცქნიდა ხოლმე პურზე.

ამ „გამზრდელა მჭადის" წყალობა თუ იყო, არამარტო ჩვენთან, ორი-სამი წლით უმცროსებთან, თავის ტოლებთან შედარებითაც მხნეილი იყო და ღონიერი. ზაფხულში, საბანაოდან მომავლებს, ბოტივით წაგვიძღვებოდა „ალუბლების მოსალამაზებლად", მოექცეოდა ყველაზე მაღალ ახალგაზრდა ალუბალს კენწეროზე, ჩაეჭიდებოდა წვერში, გადმოხტებოდა და იმ წვერსაც თან გადმოიყოლებდა. თუ მიწამდე ვერ ჩამოაღწევდა და ჰაერში დაეკიდებოდა, — დამწით, დამწითო, — დაგვიძახებდა და ვეცემოდით ჩვენ ფეხებში, დავწევდით, ჩამოვიტანდით იმასაც და ალუბლის კენწეროსაც. კენწეროს ხილს ხომ არაფერი სჯობს, მით უფრო კენწეროს ალუბალს! ვჭამდით, ვნეტარებდით და ხოტბას ვასხამდით იოსებას — „შავო ჭირო! ხორველ!.."

დედამისი, — მაშინ ერთი წიოკა ქალი, — გამოვიდოდა, შემოდგებოდა დათიკაანთ გომურის თავზე და გადმოიძახებდა ჭალეებისკენ: — იოსე! საგორე! აგორდი, დაგორდი, მიწაში ჩაგორდი! ქვის ქვეშა ხარ თუ ქვის ზემოთ, თუ ქვის ზემოთა ხარ, ამ წუთში აქ გაჩნდიო, სხვა მხრივ კლდის ნატეხივით გაუგონარი იოსება, დედის ძახილს უპასუხოდ არ დასტოვებდა: — მოვდივარ, მოო! — და უხალისოდ, მაგრამ მაინც წაბუზღუნდებოდა შინისკენ.



ამ წიოკა ქალიკმამ ერთ ზაფხულს ფეხი იღრძო, ნასამხრევს წყაროსთან გამოდგა, ჯოხზე დაყრდნობილი, და ქვეყანას ამცნო, როგორ დაემართა ეს ამბავი. — ქაოო, მოდით და ნუ დაიჯერებთო, დილასო, ხიდზე რომ გავდიოდი, ზაქარაანთ კაკლიდან ყვავმა დამჩხავლაო. იმ ყვავის დაჩხავლება იყო, დამისხლტა ფეხი იქვე, ხიდთან, და აი რა დღეში ჩავვარდი, ჯოხით ძლივს გამოვხანხალდი გარეთაო.

წავიდა გაალმასებული იოსება, ავიდა ზაქარაანთ კაკალზე, სადაც იმ ყვავებს ბუდე ჰქონდათ, როგორ გავიდა ბუდემდე, ხაკვირველს ,არის ყველა, ამოუსხა დაუბუმბლავი ბახალები და სათითაოდ ჩამოუხეთქა ძირს. დაჰფრენდნენ, დასჩხაოდნენ, დაჰკაპასობდნენ ყვავები, მარტო ორნი კი არა, ბევრნი, მაგრამ არ შეეპუა იოსება, ოთხი ბახალა ჰყავდათ და ოთხივეზე გამწარებული დასხა ის ავყბა ყვანჩალები. ჯერ ხომ იფრინეს და იშავდლევეს ყვავებმა, დედალმაც და მამალმაც, ყურთასმენა აღარ იყო იმათი ჩხავილისაგან, მერე დასხდნენ სულ მაღლა, მხრებში თავჩარგულები, ცასშეჩერებულები გაქვავებულებივით და იქ დაალამდათ ეგრევე.

— შვილოო, — მივიდა იოსებასთან დედამკვდრიანთ დიდი ბებრი ეფემია, — არ გეშინიან, რომ დედაშენი ჩავარდეს ეგეთ დღეში, როგორშიც ეგ ყვავები არიანო?!

— მე არაფრისა მეშინიაო, — ამაყად მიუგო იოსებამ, — უარესს ვუზამ, ვინც კი დედაჩემს აწყენინებს, მე არაფრისა მეშინიანო!

— არ შეიძლება არა, შვილო, ეგრეო,— და წავიდა დედამკვდრიანთ დიდი ბებერი სინანულის თავის ქნევით.

იოსება ერთ ხანს თვალებმოჭუტული უყურებდა. მერე მასავით, ეფემიასავით, მოილუნა და გვერდზე გადაჯანდა, პირიც ბებრულად მომუწა და აეცმაცურა, რამდენიმე ნაბიჯი ფლატუნით, კრუსუნით გაიარა, მობრუნდა მხაკვრულად გაღრეჭილი, თვალებგაზიზხებული, — ჰოპ! — ხელები დაიქნია და ყირაზე გადაიარა, მთელ იმ საღამოს ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი ადარდებდა, ხან ვის ეძიძგილავებოდა, ხან ვის. მაგრამ მეორე დღეს უჩვეულოდ დანაღვლიანებული, სახედანაცრებული მოგვადგა მე და ჩემს ბიძაშვილებს. ჩვენ ღამის ანკესები გვქონდა გაშლილი ჩვენს თუთასთან, ჭიაყელებს ვაცლიდით. დაჯდა ხმის ამოუღებლად იმ თუთის ძირში, იჯდა, გვიყურებდა, ქვას ქვაზე აკაკუნებდა, ჯერ წუნარად, შემდეგ და შემდეგ რაღაც ჯიბრიანი გამეტებით. უცებ ზედა ქვას თხელი ნატეხი შეასკდა, აიღო ის ნატეხი, გადაატრიალ-გადმოატრიალა, ცერით ფხა გაუსინჯა.

— მოდით აქა! — დაგვიძახა ჩახლეჩილი, ჩაყრუებული ხმით.

ჩვენ უნდოდ მივხედეთ.

— მოდით აქა, გესმით?! — ბრაზი ჩაუდგა თვალებში.

მივედით, მივუახლოვდით, რაღაც ოინის მომლოდინენი.

— წუხელისა, სიზმარში, — დაიწყო თავდაღუნულმა, — წუხელ სიზმარში, ის მკვდარი ბახალები დედაჩემს ეწყო წინა, დიდები, დაბერილები, დედაჩემი ტიროდა და იმ ბახალებსა ჰკოცნიდა. ერთი ბახალა მითომ ჩემი და იყო, ეთერა...

მარცხენა ხელი მაღლა ასწია, ახედა, შეაბრუნ-შემოაბრუნა.

— აემ მარცხენათი ამოვსხი ის ბახალები ბუდიდან. ეხლა, მე რომ თვითონვე დავისაჯო თავი, ხო აღარაფერს დაუშავებს დედაჩემსა და ჩემ დას ღმერთი?

ჩვენ რა უნდა გვეთქვა, ვიდექით და გაკვირვებულები შევყურებდით.

მაშინ მან ელვასავით სწრაფად ჩამოიკრა ხელისგულზე ქვის ფხიანი ნატეხი და ხელი ისევ მაღლა ასწია. ჩვენ შევხედეთ და შევკრთუნდით, — უუხ, შენი! — ხელისგულიდან თრთოლვით მოსდიოდა ალისფერი მბრწყინავი სისხლი და დაკლაკნილ ტოტებად ჩამოსდევდა მაჯაზე.

ნაღველი უცებ გადაჰყროდა, ასკინკილით უვლიდა წრეს, სიცილით უყურებდა სისხლიან ხელს და ხანაც ჩვენ მოგვიბრუნდებოდა სახეგაბრწყინებული.

აი, ესეთი ბიჭი ცხოვრობდა ორმოცი წლის წინათ ჩვენს უბანში ჩემ მშობლიურ სოფელში.

ახლა სად არის ის იოსება?

ათას ცხრაას ორმოცდახამი წლის იანვრის ერთ ჯანდიან დღეს გერმანელმა მეავტომატეებმა მოკლეს უკრაინის მიწაზე, როცა იერიშზე მიმავალი ქართულად ყვიროდა — „მიდიი! მიდი, ბიჭო, მიდიი!.."

საახალწლო აფიშა



ტელევიზია

## 1 იანვარი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — „გაცოცხლებული სათამაშოები" — კონცერტი (მოსკოვიდან), 10.10 — „ზამთრის ეტიუდი" — პოეტური კომპოზიცია (მოსკოვიდან), 10.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა (მოსკოვიდან), 11.05 — მეგობრები გვილოცავენ, 11.35 — „1979 წელი — ბავშვთა საერთაშორისო წელი" — „დაე, მუდამ იყოს მზე!" (კონცერტი მოსკოვიდან), 12.15 — მხატვრული ფილმი, 13.30 — „ჩვენი მასპინძლის სასახლე" (ფერადი), 14.35 — კუბის რევოლუციის მეოცე წლისთავისადმი მიძღვნილი პროგრამა (მოსკოვიდან), 16.40 — ბავშვებისათვის — კონცერტი „ფერადი ქოლგები" (ფერადი), 17.10 — მულტიპლიკაციური ფილმი „ორი ლეკვის ამბავი". (I სერია, ფერადი), 17.20 — მღერის „გორდელა" (ფერადი), 18.45 — მუსიკალური შეხვედრები (ფერადი), 19.35 — „მსოფლიო ხვდება ახალ წელს!" — საერთაშორისო პროგრამა (მოსკოვიდან), 20.20 — „ოქროპირი" — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი (ფერადი), 20.55 — საესტრადო გასართობი პროგრამა (ფერადი), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — გილოცავთ თეატრი (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „სამი კაკალი კონკიასათვის". (ფერადი), 19.25 — კონცერტი, 20.05 — მხატვრული ფილმი „ქართული ბალეტის ოსტატები", 20.55 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „სათადარიგო ბორბალი" და „სამი საქმრო" (ფერადი).

## 2 იანვარი

პირველი პროგრამით

09.40 — ბავშვებისათვის — მულტიპლიკაციური ფილმი „თოვლის დედოფალი", 17.00 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პირველი კონცერტი" (პრემიერა, ფერადი), 17.30 — ბავშვებისათვის — „მხიარული შეჯიბრება" (ფერადი), 18.15 — ავსტრალიური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „სკიპი". პრემიერა I და II სერია. (მოსკოვიდან), 19.05 — ი. ს. ბახი „ჩაკონა". (ფერადი), 19.25 — მულტიპლიკაციური ფილმი „ორი ლეკვის ამბავი". (II სერია, ფერადი), 19.35 — ეკრანი ბრალს სდებს (ფერადი), 20.20 — საზღვარგარეთის ესტრადის რიტმები და მელოდიები



(ფერადი), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30—მეგობრები გვილოცავენ, 22.00—„ვრემია"—საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „ლიტერატურული საღამოები" — ხალხური პოეზია.

მეორე პროგრამით

19.20—მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ნიაღვრები", 20.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: 1. „ბავშვთა ნახატების გამოფენა", 2. „გამარჯობა, როვესნიკო!".

რადიო

## 2 იანვარი

პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.35 — ეკრანის მელოდიები, 09.45 — მღერის მ. ქასრაშვილი, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.10 — პოპულარული სიმფონიური მუსიკა, 11.45 — „ათი სიხარული" — რადიონარკვევი, 12.15 — ჯ. კახიძე — სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — გ. [illegible]ბიძის ლექსები, 12.30 — ფ. ლ[illegible] — ოპერეტა „ჩემი მშვენიერი ლედი". ნაწყვეტები, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — მღერის ე. ჰილი, 13.40 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა" — შ. რუსთაველი — „ვეფხისტყაოსანი", 19.15 — საცეკვაოები ქართული ოპერებიდან, 21.15 — უკრავს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კამერული ორკესტრი, 23.30 — მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## 3 იანვარი

პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის" მიმოხილვა (მოსკოვიდან), 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ტ. ბაქრაძე — კამერული ნაწარმოებები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.10 — ლ. კალმახელიძისა და ე. გეწაძის კონცერტი, 12.15 — პ. სარასატე — საკონცერტო ფანტაზია ჟ. ბიზეს ოპერა „კარმენის" თემაზე, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა" — ა. საჯაიას ლექსები, 17.15—ქართული საბალეტო მუსიკა, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის — რადიოსადღეგრძელო „ციცინათელა", 18.10 — „მელოდია, რიტმი, განწყობილება" (კონცერტი), 19.00 — „კავშირი გულთა შორის" — საბჭოთა პოეტების ლექსები, 19.15 — სავიოლონჩელო პიესები ი. ჭეიშვილის შესრულებით, 19.40 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი—„1979 წლის მშენებლობანი" (მოსკოვიდან), 21.30 — სპექტაკლ „მარინეს" ერთი სცენა, 22.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 23.30 — კონცერტი მ. რაველის ნაწარმოებებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრი

## 1 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — იოლანტა (საღამოს, 1 აბონ. VI წარმ.); შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (საღამოს); კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სამოთხის ვაშლები (დღისით), ძველი ვალსი (საღამოს); ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მე, ცოლი და სიდედრი.

## 2 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (დასაწყ. 5 ს.); შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შუშანიკის მარტვილობა (დღისით), საგრალდებო დასკვნა (საღამოს); კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძველი ვალსი (დღისით), ეზოში ავი ძაღლია (საღამოს); ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩარლის დეიდა (დღისით), სათადარიგო საცოლე (საღამოს).

# გაზეთები იბეჭდება ოფსეტით

1979 წლის 1 იანვრიდან ყველა ცენტრალური და საქართველოს რესპუბლიკური გაზეთი ახალი — ოფსეტური წესით დაიბეჭდება. მწყობრში ჩადგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საგაზეთო კორპუსი, სადაც დამონტაჟებულია უახლესი ტექნიკა და ტექნოლოგია, აქ შექმნილია გაზეთების საუკეთესო ხარისხით ბეჭდვის ყველა პირობა. ფოტოტელეგრაფის საშუალებით, მიიღება 10 ცენტრალური გაზეთი, რომლებიც ასევე ახალი წესით იბეჭდება. ამით საბოლოოდ გამორიცხულია ცენტრალური გაზეთების დაგვიანება, რომელთა მატრიცებს ადრე თვითმფრინავით ვიღებდით.

(საქინფორმი).

„კომუნისტის" მკითხველებს!

ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 1979 წლის 3 იანვარს.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

საახალწლო პალიტრა



სიუხვის მატარებელი.



არ გაგიშვებთ, არაო...



რა ქენით, ვეღარ შეაკეთეთ?..



სტუმარმასპინძლობა.



ვაი გოჭის დედასაო...

მხატვრები ა. ერაძე, მ. აბაშიძე, ლ. მართაშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-98-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული 99-87-61, პროპაგანდის — 98-22-98, მრეწველობის — 98-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-61, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის განყოფილების — 98-95-98, ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების—99-78-24, ილუსტრაციის—98-28-54.